

საქართველო




1898 თებერვალი



ყურნალ „ჯეჯილისა“


I იადონი და ბუღბუღი ლექსი—მ. ლეღაშვილისა	3
II კაკის მეფობა, ამბავი—განასი	7
III მგელი-კალია სოლანჯი, თარგმანი—ლ. ბარნოვისა	23
IV სიკვდილი ლექსი—ჯაგვისა	32
V მოლაპარაკე ხე. (გადმოკეთებული ფრანგულიდან). ა. ან .	34
VI ახალი ქვეყანა. (ქრისტეფორე კოლუმბი)—განასი	38
VII პატარა მოწამენი—გ. წყაღტუბელისა	54
VIII საკვირველებანი ბუნებისა (№ 12)—ლადო აღნიაშვილისა	57
IX ქველ-მომქმედნი (იგავი)—აღ. მ—შვილისა	59
X სამეცნიერო გასართობი (№ 2)—ბოჩასი	60
XI წერილმანი: ხალხური, ანაგრაჲა, გამოცანები, რებუსი, შარადა და სხვა	61



თანხმათ მათი ყოვლიად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოკტომბერს, გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ყურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.



ამ ნაბეჭრთან ერთათ „ჯეჯილის“ ხელის მოძწერლებს დაურიგდებათ ბატონიშვილი ერეკლეს სურათი.



საქმეაწვილო ნახატებიანი

უურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო.
დაპურდი, განდი ყანაო..
ი. დ.

№ II

ვალიწადი მეცხეა



ბზილისი

სვაჰა ე. დ. როჯინანცისა || Тип. М. Д. Ротиниани. Гол. пр. 4. № 41.
1898.



Дозволено цензурою Тифлиси, 12-го Февраля 1898 гола.

С. И. П. П. П.

1898

1898



იადონი და ბუღბული.

ადონია გალით
ფანჯრის წინ ჩამოკიდული;
სულაც არ დაჭლონებია
დატუქუქებაზე მას გული.
იგი ატკობდა ჭიკჭიკით,
ადამიანის უურებსა,

ხან ფრთებსა შლიდა, ხან ჭსტოდა,
ხან ჭამდა შაქრის ჰურებსა.
ამ დროს ოთახში გალით
შემოიფანეს ბუღბული,
იადონისა მახლობლათ
დაჭკიდეს დაღონებული.
საბრალოთ აბუსულიყო
გალიაშია, ბედ-კრული,
სევდიან ნაღველიანი
ფიქრობდა ბაკე შეკრული.

ი ა დ ო ნ ი

რამ დაგადონა, ბუღბულია,
რასე წაკსვლია ფერიო?

ხმასა გიქებენ უოუელნი
 და რატომ არა მღეროდ?
 იმღერე, თავი გაიღეთ,
 თუ კი რამ შეგიძლიათ...

ბ უ ლ ბ უ ლ ი.

ნეტაი შენა დობილო,
 უბრალოთ მოგიცლიათ!...
 რა შემღერება, ბედგარულსა,
 ტუფობით გული კვდებათ,
 მოკლებული ვარ სინაზულს,
 და მკონი სულიც მსდებათ!...

ი ა ღ ო ნ ი

საკვირველია, ბუღბუღო,
 რათა ხართ უბედურები!...
 ბინა იმოვე მაგარი,
 საჭმელათ შაქრის ჰურები;
 რაღაზე ნაღვლობ ნეტაი,
 უკეთესს რაღას ელიო?
 აქ მაინე ვერას დაგაკლებს
 და ვერცა მტრისა ხელიო.
 აბა რა არის, შითხარი,
 თქვენი ცხოვრება — ტუქმიო?
 მთელ სიცოცხლესა ატარებთ


ტანჯვას და შავსა დღეშიო,
 იქ ზოგჯერ წვიმა გაწუსებთ,
 სიცვივე, ზოგჯერ ქარიო,
 აქ კი, კემლევა სიმდიდრე,
 ცხოვრება უშიძარიო.

ბ უ ზ უ ლ ი.

რეებსა ბოდაჲ, შემცდარო,
 შემლილხარ, ასე მკონია,
 თორემ ტუვეობა, მითხარი,
 ვისთვის რა მოსაწონია?!..
 ბუღბუღის მღერა მინდორში
 საამო გასაგონია,
 მაგრამა ტუვეობაშია
 ხაქები—იადონია,
 თქვენა ხართ მაგკვარ ჯიძისა,
 რომ ვეულა გესალისებათ,
 საწერობილეში ცხოვრება
 უოველთვის გეადვილებათ...
 რათ მინდა შაქრის ჰურები?
 დეე, სულ ვიყო მშიერი,
 ოღონდა მქონდეს მინდორში
 თავისუფლება, ჭაერი!
 იქ ვუგალოხო ვვავილებს,
 უოველ საღამო-დილითა,

გამოუადვიდო სულდგმული,
 მობესრებული ძილითა...
 იქ ჩემი ამხანაგები —
 შაშვი, ტოროლა, გუგული,
 იწუენენ ჩემსა ტყუობას,
 დაუღონდებათ მათ გული.
 იქ ღამის მესრე მიელის
 ჩემსა გალობა-ძღერასო
 და შენ კი სად მთხოვ სიმღერას,
 ვაი, ჩემ ბედისწერასო!..
 გეტუობა, ჩემო დიავ,
 ბუღბული ვერ გიცვნიათ,
 რომ ტყუობაში სიცოცხლეს,
 სიკვდილი ურჩევნიათ!...

მ. ლელაშვილი.



კაკის მეფობა.

(გუბღენი „ლეკან ზაწიას თვალებე ზაწიასა“.)



მართის შუა რიცხვი იყო. მზემ უხვათ დაუწყო დედამიწას სხივების გზაენა და ზამთრის ფართაშობას ბოლო მოეღო. შეუბრალეველ მოხუცს, ყინვასაც, ძალა დაეკარგა; პატარა ხანს კიდევ დარბოდა მინდვრებში, იქნება შეეხვდევ ვისმე და ჩემი ძლიერება ვაგრძნობინოვო, მაგრამ მას აღარაეინ ევაუებოდა. ერთხანს ხიდთან დაიბინაევა, რადგანაც იქ მუდამ მისი მეგობარი, ქარი

დანაეარღობდა; როცა პატარა შაგირღები ხიდზე გამოიეღიღენ, ყინევა მათეენ გაექანებოდა, ეგება ესენი მაინც დაეიბრიეყოვო, მაგრამ აღარც ისინი აქეეეღენ მას ყურადღებას: ყაბალახი, რამღენი ხანია, ჩამოინხსნეს, და ახლა ასე გაიძახოღენ, მალე საცაა, პალტოებსაც გავიძრობთო, დარჩა პირში ჩალა გამოეღებუღი მრისხანე მოხუცი; იფიქრა, აქ ჩემი აღაგი აღარ არისო და შუალამისას კუღ ამოძუეზეული გაიპარა. რადესაც კაკი დიღა აღრიანათ ლოგინიღან წამოღდა, მზე უკეე მალღა წამოსუღიეყო და საამურათ იღიმებოდა. მისი მრავალი სხიეები ერთეუღათ შემოღებოღენ თოეღს და სუღ ბღღეირი აეღინათ. ქუჩებში ღეღეები მირუხრუხებღენ. თოეღი სახღის თავებზე გამაგრებუღიეყო კიდევ, მაგრამ მზის სხიეები აქაც მალე მოუღებღენ ბოღოს. ყინუღის ლოღუები დაწერიღებუღიეყენ; ხან

ერთი მოტყუებოდა და ბრჭყევილით გამოსწევდა ძირს, ხან მეორე. კაკი მხიარულათ წამოხტა და მარდათ ჩაიცვა. მართალია, ზამთარში ბევრსა ცელქობდა, თუ სრიალობდა, თუ თოვლის კაცებს აკეთებდა; თუ ამხანაგებს ეგუნდავებოდა, მაგრამ ბოლოს ყოველივე ეს მოწყინდა; მუდამ ერთფერი სათამაშოებით თავის გართობა არ შეეძლო. მისი მოწყენა და მთელი მეორე კლასის დაღუპება ერთი იყო: მთელ კლასს ის უდგამდა სულს და ამხიარულებდა. მაგრამ როგორც კაკის ცხოვრებაში, ისე მთელი მეორე კლასის ცხოვრებაში ამ გვარი დღეები ძალიან იშვიათათ გამოერეოდნენ ხოლმე, რადგანაც კაკი მალე გამოიგონებდა რასმე და ყველას გაამხიარულებდა. მასწავლებლები ხშირათ იტყოდნენ ხოლმე, ასეთი ცელქი შეგირდები, როგორიც ახლა მეორე კლასში არიან, ჯერ არ გვახსოვსო. ეს მართალიც იყო, ტყუილიც: მეორე კლასის შეგირდები სხვაზე უფრო ცელქი და დაუდგრომელი სრულიათაც არ ყოფილან, მაგრამ სხვებზე მეტს კი დახტოდნენ და მხიარულობდნენ. რა იყო ამის მიზეზი? ის, რომ კაკი იყო ყველაზე უფრო ცელქი და ისეთ სათამაშოებს, ისეთ გასართობს გამოიგონებდა, რომ ყოველად შეუძლებელი იყო, დანარჩენებს თავი შეეკავებინათ და არ აპყროდნენ. ყველაზე უმაღლ სათამაშო ისევე კაკის მობეზრდებოდა ხოლმე და მაშინ მისი მხიარულებაც იკლებდა; ის ფიქრს მიეცემოდა. — „ეჰ, კაკი ჩაფიქრებულია: მოიგონებს რასმეო!“ — დაიწყებდნენ მეორე კლასის მოწაფეები ლაპარაკს. და მართლაც ორი სამი დღე არ გაივლიდა, რომ კაკი რაიმე გასართობს გამოიგონებდა და მეორე კლასის ცხოვრებაში ახალი ხანა დადებოდა.

ის კი არ იფიქროთ, ვითომ კაკი მთელ ღროს ცელქობას ანდომებდეს. უკაცრავათ! საუკეთესო შეგირდთაგანია. მას ყოველივე თვისათვის თავთავისი ღრო აქვს; შინ გაკვეთილებს კარგათ და ბეჯითათ ამზადებს, ამხანაგებთან თამაშობს და მხიარულობს; მაშ რის ბაეშია, რომ არ ამხიარულოს?

ზამთარში რა თამაშიც კი მოხერხდებოდა, კაკიმ ყველაფერი

გამოსცა და ბოლოს საჯანელი შემოეღია; ზამთარი მოდებოდა, გაზაფხულს მოუთმენლათ მოელოდა: ერთი რომ მაშინ სნეა გასართობს გამონახავდა, რომელიც თოვლში შეუძლებელი იყო, მეორე — ყინვას გადურჩებოდა; სასწავლებელსა და მათ სახლს შუა ხიდი იყო გასავლელი; ხიდზე კი ზამთარში ქარი და საშინელი ყინვა გამოუღეველი იყო. თუმცა კაკი ყაბალახში გაეხვეოდა ხოლმე, მაგრამ ყინვა იმდენს იზამდა, რომ ყურებსა და ცხვირს მაინც მიუგებდა. კაკი ითმენდა მაკრამ, რაც უნდა იყოს, ყოველ დღე ამისთანა ხიდზე გავლა-გამოვლა არაფერი სასიამოვნოა. აი რატომ გაეხარდა კაკის, როცა დღეს დილას ცხოველმა მზემ თვლებში შეტბრქყვილა, და წყლის შაპუნიც შემოესმა. კაკიმ მალე დაიბანა პირი. (აქვე უნდა მოეხსენიოთ, რომ ის ყოველთვის თითონ იბანდა პირს და არ იცდიდა, მოსამსახურე მოეხსენიოთ, რომ ის დამაბანებლს.) საზეპიროები გაიმეორა. ამასობაში სამოვარც ადუღდა. დალია ჩაი, ჩაიცვა პალტო, მოიკიდა ზურგზე თავისი ჩანთა და გასწია სასწავლებლისაკენ.

— შეილო, ყაბალახი მოიხეივ, თორემ შეგცივა, — მიამხა დედამ.


— არ მინდა, დედილო! თბილა. უპასუხა კაკიმ და ნაბიჯს მოუჩქარა.

— ჰა, ბიჭო, წაიღე თორემ გაცვიდები.

— რა გამაცივებს? ვერა ხედავ, თოვლი სულ დამდნარა! მოამხა კაკიმ.

— კაი დედის შეილი იქნები და იტყვი, ყურები ამეწვაო, რომ მოხვალ. წაილაპარაკა დედამ და სახლში შემობრუნდა.

მიატანა კაკიმ ხიდს; გაიარა, ქარი ცოტათი ჰქროდა. ყინვა კი აღარსად იყო. მივიდა სასწავლებელში. შევირდებმა ნელა ნელა თავი მოიყარეს. მალე გაკვეთილიც დაიწყო... სამი გაკვეთილი გათავდა. მოსწავლეები მთელ ნახევარ საათს თავისუფალი იყვნენ, მაგრამ ეზოში თამაში ყოვლად შეუძლებელი იყო: თოვლის წყალი ღრმად გაჯდომოდა ფხვიერ მიწას და საშინელი ტალახი იდგა. მას-



წავლებლებმა აღუკრძალეს, გარეთ არ ირბინათ, გასვრებით, სკოლის დაბაზში იარეთო. იმათაც რომ არ ეთქვათ, შეგირდებო. თვითონ ხედავდნენ, რომ გარეთ თამაში შეუძლებელი იყო. სკოლის დარბაზში კი ყველა შეგირდებს თავი მოეყარათ, ტევა აღარ იყო და აქ რას გააწყობდნენ! მერე უფროსი კლასელები დაბრძანდებოდნენ იქ და პატარაებს თამაშს უშლიდნენ, ამტვერებთო! მეორე კლასელები მოწყენილი იყვნენ. ზოგი ისევ მაგიდას მიუჯდა და წიგნის კითხვა დაიწყო; ზოგი ფანჯარასთან იდგა და აორთქლილ შუშაზე თითო წერდა და ხატავდა; ზოგს ჯიბეებში ხელები ჩაეწყო და კლასში სტვენით დაიარებოდა. ასე უფერულათ და უსიამოვნოთ გაიარა დრომ. მეოთხე გაკვეთილი ქართული ენისა იყო. მასწავლებელმა რამდენსამე შეგირდეს საზეპირო ჰკითხა; შემდეგ მისცა ახალი გაკვეთილი „პამპულა და ერეკლე“; მან წაუკითხა მოწაფეებს ლექსი, აუხსნა, ისარგებლა შემთხვევით და მოკლეთ მეფე ერეკლეს ცხოვრებას მოუყვა. მასწავლებელი მხოლოდ მეფის გმირობა-ვაჟაკობას აქცევდა მათ ყურადღებას, უქებდა მეფეს და იმის მეტს კი არას ამბობდა, რომ ის ვასაოცარი მეომარი იყო, ყველას ამარცხებდა — ის კი არავის არ დაუმარცხებიაო. ამასობაში ზარიც დაარეკეს; გაკვეთილი გათავდა. იმ დღეს ოთხი გაკვეთილის მეტი არ ჰქონიათ. ერთმა ლოცვა წაიკითხა და შემდეგ ყველა თავთავის სახლში წაიღო-წამოვიდა. შეგირდებზე მასწავლებლის მოთხოვნამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მეფის ომები და სისხლის ღვრა ღრმათ ჩაიბეჭდა კაცის გონებაში; მოდიოდა სახლში და გზაზე სულ იმას ფიქრობდა, ნეტა მეც მეფე ერეკლესთანა ღონიერი ვაყო, რომ ერთი შემოკვრით კაცი შუაზე გადაეჭრაო. მაშინ ყველას ჩემი შეეშინდება და ყველა ჩემი მორჩილი იქნებაო...

საღამოზე კაკიმ გაკვეთილები მოამზადა. დაწოლამდის ჯერ კიდევ აღრე იყო. გამოვიდა მეორე ოთახში, დედასთან, და კატას თამაში დაუწყო.

— დედილო, ტალახი მალე გაშრება? დაეკითხა ის დედას.

— მალე გაშრება, შვილო! უპასუხა დედამ.

— მაინც როდის?

— რა ვიცი, შვილო, გულთმისანი კი არა ვარ! ერთ კვირაში გაშრება, თუ წვიმა და თოვლი აღარ მოვიდა. ხომ იცი მარტი თოვლ ჭყაპიანია: კიდევ რომ გაშრეს, ან ისევ წამოთოვს, ან წვიმა მოვა და ისევ აატალახებს. აპრილამდის კარგი ამინდი ძვირათ დადგება ხოლმე.

— უჰ! წარმოთქვა კაკიმ და ამ ერთ სიტყვაში მთელი მისი მწუხარება გამოიხატა. ერთ კვირემდის ტალახი არ გაშრება და მაშ მთელი ერთი კვირე აღარც მას უთამაშნია! ეს შეუძლებელია. არა უსათუოთ უნდა მოიგონოს რამე... მაგრამ რა მოიგონოს? კაკიმ კატას თავი დაანება, გაკოტრიალდა ტანტზე და მალლა ჭერს დაშტერა თვალები. ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ კედლის საათი დაუღალავათ აკაკუნებდა ერთფეროვან „ტიკ“-ტაკ“-ს. კატამ რა დაინახა რომ იმისათვის აღარაფის სცალოდა, გაწვა ლოგინზე, თათებზე თავი დაიდვა და დაიწყო ხრუტუნნი. უცებ კაკის თვალებმა გაუღიმა, ტუჩებმა სიხარულით ცმაცუნნი დაუწყეს, სახეზე მხიარულება გამოეხატა.

— რა კარგი რამ მოვიგონე! წამოიძახა მან, დაბარტყუნა ლოგინზე ფეხები, შემდეგ წამოხტა ზეზე და დაუწყო კატას ჯიჯღნა.

— შვილო, ახლა დაიძინე, თორემ ხვალ ადგომა დაგეზარება. უთხრა დედამ. კაკი ჩამოეკიდა დედას კისერზე, აკოცა და გასწია დასაძინებლათ. გული მხიარულებით ეცებოდა, რომ წარმოიდგენდა, თუ როგორ გაახარებდა ამხანაგებს თავისი ახალი სათამაშოთი.

* * *

მეორე დღეს, როცა მესამე გაკვეთილი გათავდა და მასწავლებლის გასვლისათანავე შეგირდებმა ზმორება და მთქნარება დაიწყეს, კაკი წამოხტა და დაიძახა:

— ეის გინდათ თამაში?

შეგირდებმა ერთბაშათ ყურები აცქვიტეს, წამოცვინდნ და დაიწყეს ყვირილი:

— მე! მე! მე!-ო და ესეთი ხმაურობა ასტეხეს, თითქოს აქამდის ეძინათ და ახლა ყველას ერთბაშით გამოეღვიძაო.

გამოდგა რომ თამაშა ყველას უნდოდა.

— რა ვითამაშოთ? გაისმა ვილასიც ხმა.

— აი რა, დაიწყო კაკიმ: მთელი კლასი ორათ გავიყოთ ჭ თაეთავის მეფე ამოვირჩიოთ; ერთი იყვეს ერეკლე მეფე, მეორე თათრების მეფე და ერთმანეთს ვეომოთ ხოლმე. დარტყმევა ნუ იქნება, წაქცევა კი იყოს. ვინც დამარცხდება, გამარჯვებულები ზურგზე უნდა შეისვან, აქედან დიდ დარბაზში წაიყვანონ და უკან მოიყვანონ.

შეგირდებმა ჭრიამული და ყვირილი ასტეხეს.

— აბა ჩქარა გავიყოთ და მეფეები ამოვირჩიოთ! დაიძახა რამდენიმე ყმაწვილმა.

— მოიცათ, მოიცათ! გააჩერა კაკიმ ყველა. ასე როგორ იქნება? ბაირალები უნდა გექონდეს: ერთი ქართველებს და ერთიც თათრებს.

შეგირდები ჩაფიქრდნენ, რადგანაც ბაირალები არსად იყო.

— რათ გვინდა ბაირალები? ისე რა უჭირს? თქვა ერთმა.

— არა, უბაირალოთ მე არ მინდა, წარმოთქვა კაკიმ. — ერთ ბაირალს მე მოვიტან ხვალ, ერთიც სხვამ მოიტანოს და გვექნება, დღეს კი ნულარ ვითამაშებთ.

ზოგი გაჭირვეულდა: არა, ხვალამდის ნუ გადავდებთო, დღესვე ვითამაშოთო, მაგრამ უმეტესობამ გადაწყვიტა, რომ ბაირალით უკეთესი იქნებოდა.

— მეფეები მაინც ამოვირჩიოთ ახლა. წარმოთქვა ერთმა.

— ამოვირჩიოთ! დაიძახა ყველამ.

— მეფე ერეკლე კაკი იყოს და თათრების მეფე კიდევ... გიგაი! დაიძახა ერთმა.

— მერე მე რო თათრების მეფე ვიყო, ერეკლეს უნდა ვეჩხუბო? იკითხა გიგამ.

— ჰო! უპასუხეს სხვებმა.

— იიფ! იუცხოვა გიგამ—არ მინდა. მე მეფე ერეკლესთან მინდა..

— შე მასხარა, მართლა თათარი ხომ არ იქნები? უთხრა გვერდში მდგომმა ამხანაგმა.

— არ მინდა, მე ერეკლესთან უნდა ვიყო! თავისას არ იშლილა გიგა.

— დაიკარგე! ყოველთვის შენ უნდა გაჯიუტდე! მაძახა ერთმა.

— ძალათი ხომ არ დამაყენებთ? არ მინდა, ახლა? წამოიძახა გულმომსულმა გიგამ და უკან გაბრუნდა.

— მაგის მეტი აღარაფერ არის თუ? თქვა ერთმა —აი სანდრო იყოს, კიდევ იხვეწება!

— იყოს! იყოს! დაიძახეს სხვებმა.

სანდრო გიგასავით არ გაჯიუტებულა: მალე დათანხმდა.

ამას შემდეგ „არჩევანი მე, არა დანიმე“-თი კაკიმ და სანდრომ მთელი კლასი შუაზე გაიყვეს. გიგა განგებ სანდრომ ამოირჩია, მაგრამ, რადგანაც ჯორჯე შეჯდა და არ დათანხმდა, ერთმა ამხანაგმა დაუთმო მას თავისი ალაგი ერეკლეს ჯარში და თვითონ სანდროს მხარეს გადმოვიდა. მეორე ბაირალის მოტანა სანდრომ იკისრა.

— ბაირალებზე არაფერი დავაწეროთ? იკითხა ვიღამაც.

— ერთზე „ერეკლე მეფე“ დავაწეროთ, მეორეზე „თათრების მეფე“. ურჩია ერთმა.

— თათრების მეფე როგორ იქმნება! სახელი არ ერქვა თუ? იუარა სანდრომ..

არაფერ არ იცოდა რა დაერქმიათ თათრების მეფისათვის, რომელიც ირაკლის უნდა შებრძოლებოდა.

— ჰამჰულა დავაწეროთ! წამოიძახა ერთმა საერთო სიჩუმის დროს.

— ხა, ხა, ხა! გაღიხითხითეს შეგირდებმა.—ჰამჰულა ხომ თათრების მეფე არ ყოფილა.

— ნაცარ ქექია! იოხუნჯა მეორემ, მაგრამ მისმა ოხუნჯობამ

სიცილი ველარ გამოიწვია, თორემ, შეიძლება მესამეც იტყოდა რასმე.

— მასწავლებელს დავეკითხოთ და ის გვასწავლის. თქვა ერთმა შეგირდმა.

უმეტეს წილს ეს რჩევა მოეწონა, მაგრამ კაკიმ თქვა, ვაი თუ გაგვიგოს და თამაშის ნება აღარ მოგვცესო, და ყველა დაეთანხმა.

— ის ვინ იყო, არ გახსოვთ, ირაკლიმ რომ თავი მოჭრა? იკითხა ერთმა.

— კობტა ბელადი! წამოიძახა რამდენიმე შეგირდმა.

— აი კობტა ბელადი დაეწეროთ! განაგრძო პირველმა.

— კობტა ბელადი ხომ თათარი არ ყოფილა. გაისმა ვილასიცხმა.

— იი! მა ვინ იყო? ირაკლი მარტო თათრებს ებრძოდა ხოლმე. მიაძახეს სხვებმა.

— იქნება თათარი იყო, მაგრამ მეფე კი არ ყოფილა! არ იშლიდა პირველი.

— რომ არ იცი, ბიჭო, გაჩუმდი! მეფე იყო მა რა იყო? დასცინა რჩევის მიმცემმა.

— შენ უკეთ იცი შენმა თავის განხეთქამ, ჩვენ მასწავლებელზე! გაცხარდა პირველი.

— როდისა თქვა, მეფე იყოო?

— თქვა, მაშ არა თქვა? შენ რო გეძინოს სხვისი რა ბრალია?

— ტყუანს რა, რომ არ უთქვამს?

— მეფე რომ არ ყოფილიყო, ირაკლი თვითონ არ შეებრძოლებოდა. ჩამოერია ლაპარაკში მესამე; ამაზე ველარავინ რა უპასუხა, კამათი შეწყდა და წაკიდებამდის საქმე აღარ მისულა. გადაწყვიტეს, რომ სანდრო კობტა ბელადი იქნება და ბაირალზედაც ეს სახელი უნდა დაეწერა.

*
*
*

მეორე დღეს მოვიდა თუ არა კაკი სასწავლებელში, პალტოს ქვეშიდან ბაირალი გამოაღო, რომელზედაც დიდი ასოებით ეწერა:

„ერეკლე მეფე“ შეგირდები სიხარულით გაექანენ მისკენ და ბაი-რალს შინჯვა დაუწყეს. ერთმა ააფრიალა ბაირალი მალლა და დაი-წყო კლასში ხტუნვა და ყვირილი:

— მოდით, თუ ბიჭები ხართ, თათრებო, გაყურებივთ სვირს! მალე სანდროც მოვიდა და მეორე ბაირალი მოიტანა. შეგირდების მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა. მოუთმენლათ ელოდენ, როდის იქნება, სამი გაკვეთილი გათაედეს, რომ ვითამაშოთო. თითო წამი თითო საათათ ეჩვენებოდათ. ბოლოს ზარის სანატრელმა რეკამ შე-გირდებს მესამე გაკვეთილს გათაეება აუწყა მასწავლებელი წავიდა. შეგირდები წამოიშალენ. ერთი ნახევარი ერთ მხარეს დადგა, მეორე ნახევარი მეორე მხარეს. მებაირალებიც ამოიჩჩეს. აქ კი აღარ იცოდენ, თამაში როგორ დაეწყათ. ერთმა შეგირდმა დაიძახა.

— ერთი ჯარი კლასში დარჩეს, მეორე საერთო დარბაზში გა-ვიდეს. კლასი ვითომ ციხეა. კარები მიეხუროთ, და ვინც გარეთ იქნება, იმათ უნდა გააღონ. თუ გააღებენ, ციხე აღებული იქნება და მაშინ ერთმანეთს ვებრძოლოთ.

ეს რჩევა ყველას მოეწონა. კენჭი ჰყარეს და გარეთ გასვლა კობხა ბელაღს ერგო. კაკის თავისი ჯარით ციხის კარი უნდა გაე-მაგრებია.

— ახლა რითი გავიგოთ, ვინ გაიმარჯვებს და ვინ არა? იკით-ხა ერთმა.

— თუ ციხეს აიღებთ, მაშინ ყველა შუა კლასში დაედგეთ. თქვენ ფანჯრებისაკენ უნდა გაგერეკოთ, ჩვენ კარებისაკენ. განაგრძო პირველმა. — ვინც ვის გარეკავს, გამარჯვებულიც ის იქნება.

— ბიჭოს! გაიოცა ერთმა სანდროს ჯარის კაცთაგანმა. — იქნება ციხე ჩვენ ავიღოთ და გარეკით კი თქვენ გაგერეკოთ. მაშ გამარ-ჯვებულიც თქვენ უნდა იყოთ და ციხის აღება კი აღარაფერი?

— მაშინ არც ჩვენ ვიქნებით გამარჯვებული, არც თქვენ. აუბ-სნა პირველმა. — მეორეთ გარეთ ჩვენ გავალთ, ციხეში კი თქვენ გამაგრდებით.

ამაზე ყველა დათანხმდა. სანდრო და მისი ამხანაგები გარეთ გავიდნენ. კაკი თავის ჯარით კლასში დარჩა. კარები მიხურეს. გარედან ისინი აწებოდნენ კარებს, რომ შეელოთ; შიგნიდან ესენი ამბობდნენ. არც ერთი მხარე არ იზოგავდა თავს; ბევრი ისე დაიქანცა, რომ ოფლმა გამოხეთქა. ბოლოს თათრებმა აკი დასძრეს კარები. ერეკლეს ჯარმა ველარ შეიმაგრა; კარები რამდენსამე ხანს შემდეგ გაიღო და კოხტა ბელადი „ურა“-ს ძახილით ციხეში შევედა. კარები მაშინვე მიხურეს, რომ გარეთ ხმაურობა არ გასულიყო. კაკი თავისი ჯარით კლასის შუა ალაგას გამაჯრდა, იქიდან კოხტა ბელადი მოაწვა თავისი ამხანაგებით. ატყდა საშინელი კიჟინა და წიწკნა-გლეჯა. ზოგი სახელოში სწევდა ერთმანეთს, ზოგი ფეხში, ზოგი ქამარში. გამარჯვება არც ერთი მხარისაკენ არ იყო. უმეტესი წილი საშინლათ დაიღალა. ამ დროს ერთი კოხტა ბელადის ჯარის კაცი, როგორღაც მიეპარა ერეკლეს მებაირალეს, სტაცა ბაირალს ხელი, გამოთხლიშა და გაკურცხლა უკან. კაკის ამხანაგებში ამ გარემოებამ არეულობა მოახდინა, მოპირდაპირეებმა კიჟინა დაჰკრეს, მიაწვენ კაკის მომხრეებს და ფანჯრებამდის მირეკეს. მხოლოდ კაკი ძალდებოდა კიდევ; სანდრო და ის მაკრათ იყვენ ჩაკოწიწებული მგვრამ ვერც ერთი ვერ ერეოდა. არეულობა რომ მოხდა, კაკიმ მიიხედა, სანდრომ ამ დროს უკან გადუღვა ფეხი, კრა ხელი და ძირს იატაკზე ლაფაშივით გაშალა. კოხტა ბელადის ჯარმა გაიმარჯვა.

— აბა ახლა მოდით, ზურგზე შეგვისვით! დაიძახეს გამარჯვებულებმა. დამარცხებულებმა მიუშვირეს ზურგი; თუმცა ძალიან დაღალულნი იყვენ, მგვრამ მეტი რაღა გზა იყო. სანდრო კაკის უნდა შეჯდომოდა და დანარჩენებს წინ გაძლოლოდა. კაკი ჯერ ისეც გულმოდრული იყო, რომ სანდრომ წააქცია, და ახლა სულ გაბრაზდა — პარობაში არ ყოფილა, რომ ერეკლესაც ზურგზე შეჯდომოდნო, გაჯიუჭდა.

— ხომ გეჯობებს, კიდევ უნდა შევისეთათო. ამბობდნენ მისი მომხრეები.

— ეგ რა ბიჭობაა, დაგამარცხეთ და ახლა ზურგზე აღარ გვიჯენთ? გაისმა უკმაყოფილების ხმა.

— ჩვენ ხომ უარს არ ვამბობთ! იმართლეს სხვებმა თავი. — მართო კაკი არა შერება.

კაკის ხეწნა დაუწყეს, მაგრამ ის უფრო გაიბერა, დაანება თავი მოთაპაშეებს და გარეთ გასწია. დარჩა სანდრო უცხენოთ, სხვები კი მოახტენ დამარცხებულებს, წინ მებაირაღეები გაიძღვანეს და წეროებივით გამწკრივებული კლა! ის ოთახიდან დიდ დარბაზში გავიდნენ, შემოუარეს გარეშე მო და ისევ უკან დაბრუნდნენ სიცილ ხარხარით. ვინც ცხენის მოვალეობას ასრულებდა, მათ კი არ ეცინებოდათ, რადგანაც ყველას გვარიანი ტვირთი აწვა ზურგზე.

— აჰუ, ცხენო! გაისმოდა შეგირდების ხითხითი:

— აცე, აცე! წამოიძახებდა მეორე.

— ჰა, ჩემო ჯორო, არ წაიქცე! იძახოდა მესამე.

— ჰა, ჯორო, უძელი! ყვიროდნენ სხვები.

— ხომ გაგმართეთ წელში! ემასხარავებოდნენ ერთმანეთს, როცა თამაში გაათავეს.

— მოიცათ, შეილონიასა! ჩვენც დაგხდნით. ყოველთვის ხომ თქვენ ვერ გვაჯობებთ? მხიარულთვე უპასუხებდნენ დამარცხებულები. მათ სიტყვებში ბავშური მხიარულებისა და კმაყოფილების მეტი არაფერი იხატებოდა. ან კი რა უნდა წყენოდათ: ყველას უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ თამაშით თავი გაერთოთ, და, ვინ ვის გააჭენებდა, ეს თითქმის სულ ერთი იყო. გულმოსული კაკი კი დიდი დარბაზის ფანჯარასთან ცხვირ ჩამოშვებული იდგა. მას ასეთი დამარცხება ვერ მოეწონებოდა, ერთი რომ ის ცოტა ამპარტყვანი და დიდ გული იყო; ამხანაგებში ყოველთვის სხენაირი შედიდურობით მოჰქონდა თავი, ახლა კი თუმცა არაფრისაც არ გაჰკვირებოდა, რომ ის წაქციეს, მაგრამ მისი თავმოყვარეობა შელახული იყო. გარდა ამისა ის ერეკლე მეფე იყო, რომელიც არაფერს არ დაუმარცხებდა; ის კი წაქციეს. მართალია, ეს თამაში იყო, მაგრამ რადგანაც ერეკლეს

მაგიერობას ჩემობდა, არც უნდა მოჩეროდა ვინმე, და იმიტომაც დაიჩქრა ეს სახელი, რომ გამარჯვების იმედი ჰქონდა. რაღა ერეკლეა, თუ კი დაამარცხეს? მერე ვინ დაამარცხა?—გაბერილმა ლაფშმაღი-ულმა სანდრომ! სანდრო ახლა მის თვალში უშველებელ ქამათ გადაიქცა, კაკი მზათ იყო, სულ წინლებ ქვეშ გაეთელა... გაიარა ამას შემდეგ რამდენიმე ხანმა. შეგირდები ისევ ძველებურათ თამაშობდნენ, მაგრამ კაკი მონაწილეობას აღარ იღებდა. აღარც ისინი ეხვეწებოდნენ, რადგანაც მათ თვალში მან ნდობა დაჰკარგა. თავმოყვარე კაკის ვგონა, თუ ყველა მას დასცინოდა; მას ამგვარი დამცირება ვერ მოენდობოდა; ვერ შერაგებოდა იმ აზრს, რომ ის — „ერეკლე მეფე“ დაამარცხეს, წააქციეს. შემთხვევას ეძებდა, რომ სანდროსათვის როგორმე სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ სანდრო ბევსაბი და ჩხუბის მოყვარე არ იყო, და ამიტომ კაკისაც ეს შემთხვევა ხელთ არ უვარდებოდა. ნელ ნელა მიღაოდა დრო, კაკის კი თავისი დამარცხება არ ავიწყდებოდა.

*
*
*

ზა'ის რეკა გაისმა. შევირდებმა კლასისაკენ გამოსწიეს. უკანასკნელი გაკვეთილი უნდა დაწყებულიყო. როდესაც კაკი კლასის ოთახში შემოვიდა, შევირდებმა სიცილი ასტეხეს. კაკი თან გაოცდა, რადგანაც სასაცილოს ვერას ხედავდა, თან გული მოუვიდა. მიიხედა დაფისაკენ, იქ სანდრო იღვა და ამხანაგს ამიციანას უმტკიცებდა. კაკი ღიაჩერდა დაფას და რა დაინახა? ერთ ნახევარზე კუბო იყო დახატული და ქვეშ დიდი ასოებით ეწერა: „აქ განისვენებს წაქცეული ერეკლე“.

კაკის სიბრაზით სახე წამოუჭარხლდა, თვალემა ამძღვრა: ასეთი დაცინვა ველარ აიტანა, მივარდა სანდროს და დაუყვირა:

— ეს ვინ დახატა?

— რა ვიცი, ვინ დახატა! გაოცებული ხმით უპასუხა სანდრომ, რომელსაც აქამდის არც კი შეუჩინნავს დახატული კუბო, რადგანაც ამიციანის კეთებაში იყო გართული და, იმის გვერდით ვინ რას ხატავდა, არ უყურებდა.

— შენ დახატე? დაუყვირა კიდევ კაკიმ.

— ჩასა ღრიალებ? ხომ არ გადირიე? მერე რა, მეც რომ დამეხატა? უპასუხა სანდრომ, რომელიც კაკის ყვირილმა მოთმინებლადან გამოიყვანა.

— აი რა! წამოიძახა კაკიმ ღ სანდროს შიგ სახეში სილა გაარტყა. სანდროს ცხვირიდან სისხლი წამოუღვიდა, ტირილი მორთო და ეცა კაკის საკინძში, რომ სამაგიერო გადაეხადა. ამ დროს კარები გაიღო და მასწავლებელი შემოვიდა.

— რა ამბავია? გაჯავრდა მასწავლებელი, როცა მოჩუბრები დაინახა.

სანდრომ კაკის ცივით ხელი უშვა და ტირილი განაგრძო. კაკი თავჩალუნული იდგა დაფასთან და ხმას არ იღებდა. მასწავლებელმა ჯერ სანდროს დაუწყია ყვარილი; ის ტირილით თავს იმართლებდა, ჩემთვის ვიდექი, მოვიდა და სილა გამარტყაო.

— გაეთრიე კარში, ცხვირი მოიბანე; შემოუძახა მასწავლებელმა. სანდრო წავიდა.

— რისთვის ეჩუბებოდი, შე საძაგელო? მიუბრუნდა მასწავლებელი კაკის, წაველო სახელოში ხელი და გააჩანჩხალა.

— ახი იყო მაგაზე! წაიბურღლუნა კაკიმ, რომელიც ამ დროს უფრო სიამოვნებას გრძნობდა, ვიდრე შიშს. მისი თავმოყვარეობა ახლა დაკმაყოფილებული იყო; ჯავრი ამოიყარა; ახლა სიამაყეს გრძნობდა, ამპარტანობდა, რადგანაც ერთი სილით კოხტა ბელადს ცხვირში სისხლი წაადინა. დამარცხება ასეთი უნდაო, ფიქრობდა გულში კაკი.—ხომ წავედინე ცხვირიდან ძმარიო.

— ეინ არის მორიგე? იკითხა მასწავლებელმა.

ერთი მოსწავლეთაგანი ცახცახით ზეზე წამოაღდა.

— ვისი ბრალი იყო? დაეკითხა მას მასწავლებელი.

— კაკის ბრალი იყო, უპასუხა მან.—სანდრო თავისთვის წერდა დაფაზე, კაკი მოვიდა და სილა გაარტყა. მასწავლებელი სხვებს დაეკითხა. სხვებმაც იგივე დაამოწმეს. სულ ყველა კაკის ამტყუნებდა.

— კვირას ათ საათიდან ხუთ საათამდე კარცერში იქმნები და-
 მწყედელთი. უთხრა მასწავლებელმა კაკის და გაკვეთილი დაიწყო.

* * *

— არა, ხომ ხედავდი, რომ მას აქეთ სულ გაჯავრებული და-
 დიოდა? რაღას ახელებდი? ღიმილით ეუბნებოდა ხმელხმელი სახის,
 წაბლის ფერ თმიანი ყმაწვილი ჩასუქებულ ზურაბს, რომლის სხვა
 დროს მხიარულებით აღსაესე თვალები ახლა ნაღვლიანათ გამოიყუ-
 რებოდნენ.

— რა ვიცოდი, შენც ერთი, თუ წაიხზებებოდნენ? უპასუხა ზუ-
 რაბმა.

— როგორი სილა გაარტყა! თქრიალით არ წამოუყიდა 'ისხლი!
 განაგრძო ხმელ-ხმელმა ყმაწვილმა. ზურაბმა არა უპასუხარა; გადასა-
 ხევეთან რომ მივიდნენ, გამოცმშიდობა მას და გასწია სახლისაკენ.
 ზურაბი იეთილი და უბოროტო გულის ბავში იყო, ამასთან მასხა-
 რა და მხიარული. როგორ ქეიფზედაც უნდა ყოფილიყო, მას სხვისი
 მასხარობა არ წყინდა, რადგანაც ხუმრობა თვითონაც ხშირათ იცო-
 და და უყვარდა. დღეს სრულიად გულუბრყვილოთ მასხარობით
 დახატა დაფაზე კუბო, რასაც ასეთი არა სასიამოვნო შედეგი
 მოჰყვა. განა სხვადროს არ უხუმრია, მაგრამ არც კი წყენია ვისმე.

— ასე რომ მცოდნოდა, რა ღმერთი გამიწყრებოდა, დაეხატა-
 დი! ამბობდა ზურაბი გულში და თან თავისთავს ემღუროდა, რომ
 არ დამეხატა, არაფეროც არ მოხდებოდაო.

დედამაც კი შენიშნა ზურაბს მოწყენა სადილობისას და დაე-
 კითხა:

— რას მოგიწყენია, ბიჭო? ცუდი ნიშანი ხომ არ მივიღია?

— ღმერთი არ გამიწყრეს! დაეფიცა ზურაბი.

— რა ვიცი, ძალიან ჩაფიქრებული კი ხარ და! წაილაპარაკა
 დედამ და სადილი განაგრძო. ნასადილეც ზურაბმა გამოიტანა წიგ-
 ნი, დაუწყო ფურცელა, მაგრამ კითხვა არ შეეძლო: ისევ დღევანდე-
 ლი შთაბეჭდილებას ქვეშ იმყოფებოდა; თვალ წინ უღვა დაფაზე

დანატული კუბო, ცხვირში სისხლწადინებული სანდრო და კარცერში მჯდომი კაკი; თან გული შიგნიდან გამოიძახოდა: — რომ არ დგება, ხომ არაფერი მოხდებოდა. ზურაბმა ევლარ მოითმინა, ბავშვის ბუნებამ სძლია და გულახდილათ უამბო ყოველიფერი დედას.

— სულ შენი ბრალი ყოფილა! უთხრა დედამ. — ხომ ხედავდი, რომ გულმოსული ყოფილა? რაღა შენგან განხლება ეჭირებოდა!

— მე ხომ განხლება არ მინდოდა! ისე გავიმასხარავე. რა ეიცოდი, თუ ასე ეწყინებოდა? წარმოთქვა ზურაბმა.

— უნდა გცოდნოდა, შეილო! ყოველთვის, რასაც ჩადიოდე, უმალ იმას უნდა ფიქრობდე, რომ შენი მოქმედებით ზარალი არაფერს მოუტანო. შენი დანაშაული ისევე შენ უნდა გაასწორო განაგრძო დედამ.

— რითი გავასწორო? დაეკითხა ზურაბი

— აი რითი: იმდენს ეცადე, რომ ისინი შეარიგო, ამხანაგებიც მოიხმარე. ოცდაათი ბავში ისე როგორ ვერ მოთავსებულხართ, რომ ერთი მეორეს თავპირი არ ამტერიოთ? სირცხვილი არ არის?

დედის სიტყვებმა ზურაბი ჩააფიქრა. სანდროს და კაკის შერიგება მოიწადინა. მეორე დღეს, როცა სასწავლებელში მიდიოდა უკვე მოსაზრებული ჰქონდა, თუ როგორ შეარიგებდა მათ და ისევე ძველებურათ მხიარულათ თამაშს დაიწყებდნენ. თავის განზრახვა ზურაბმა რამდენსამე ამხანაგს შეატყობია, რომლებთანაც უფრო მჭიდრო განწყობილება ჰქონდა. როცა პირველი გაკვეთილი გათავდა და სასწავლებელი გავიდა, ზურაბმა ამხანაგებს მიმართა:

— სანდრო და კაკი შევარიგოთ!

მხოლოდ რამდენიმე პირმა გამოაცხადა სურვილი; დანარჩენს კი ხმა არ ამოუღიათ, თითქო ზურაბის სიტყვები არც კი გაუგონიათო. კაკი გარეთ გავიდა, შეგირდებიც აარიენ.

— შევარიგოთ, რა არი! გაიმეორა ზურაბმა.


— არ გვინდა! წარმოთქვა რამდენიმე ყმაწვილმა და სხვებმაც მათ დაეთანხმენ.

— მაგისტანა ამხანაგი, რომელიც გვცემს და გვეჩუბება, ჩვენთვის საჭირო არ არის. ხმასაც ნულარ გავცემთ აწი. დაიწყეს ყველამ ლაპარაკი.

ამ გვართ ზურაბმა თავის განზრახვა ვერ შეასრულა.

კვირას კაკი, „მეფე ერეკლე“, დილიდან საღამომდე კარცერში იჯდა.

ვანო.



მგელი-კალია სოლანჯი

მარსელ პრევილი

(თარგმანი).



ბლამო ხანი იყო. ცხელოდა. ჩვენ მდინარისკენ წავედით. დავსხედით ჩრდილში და სიამოვნებით თვალს ვადევნებდით ანკარა წყალში თევზების თამაშს.

მდინარისკენ მოდიოდა ერთი ჯერ კიდევ ახალგაზრდა დედაკაცი. იმას ეცვა ღარიბათ, მაგრამ ფაქიხათ. მარცხენა ხელით ძუძუთა ბავშს იკრავდა გულში, იმაზე მომ ეწონო კაბის კალთაზე ეჭიდებოდა, უფრო-სისთვის მარჯვენა ხელი მოეკიდა.

დედა ჩამოჯდა წელის ჰირას, გაიხსნა კაბა და ჰატარა ბავშს ძუძუს წოვება დაუწყო. დანარჩენმა ორმა ემაწვილებმა გაიხადეს ტანისამოსი, შეცვინდენ მდინარეში და დაიწვეს ჭეუძხალაობა. საამური სიცილ-კისკისით ასსამდენ წყალს ერთმანეთს.

ჩვენ სიამოვნებით ვუყურებდით ამ სურათს. — რა შვენიერი სურათი გამოვა, რომ კაცმა დახატოს ეკ დედა-შვილნი, თქვა ერთმა ჩვენგანმა.

— გამარჯვება, უმაწვილებო! კეტუობათ, სიამოვნებით უუურებთ მკელი-კალია სოლანჯის ბაღლებს! — მოისმა ყიღასიც სმა.

რომ მოვიხედეთ, ჩვენს უკან იღვა ჩვენი საყვარელი მასწინძელი ექიმი.

— შენა ხარ, კაცო? დაჯექ, დაისვენე...


— ოჰ, დასვენება კი მეჭირვება: დღეს ძალიან ბევრი ავანტიურები იყვენ ჩემსას.

ექიმი დაჯდა, ჩვენ ვკითხეთ იმას სოლანჯის ვინაობა და მიხეცი მისი მეტი სახელისა, ექიმმა შემდეგი გვიამბო:

სოლანჯი ლორან გრილიეს ცოლია, ამ ათი წლის წინეთ ეკ შეენიერი ქალი იყო. ახლა მეტი ჯაფისაკან დ წვრილშვილობისაკან კატანჯულია.

როცა მკელი-კალია დაერქვა, სოლანჯი ჯერ გასათხოვარი იყო. თუმცა დარბი დედ-მამის შვილი იყო, მაგრამ მთხოვნელები ბევრი ჰყავდა. სოლანჯი კი გრილიეს კარდა უურადლებას არავის აქცევდა. გრილიე იმისი უმაწვილობის მეკობარი იყო; ისინი ჰატარობისას ერთათ ამოვებდენ ხოლმე ხბოებს.

ლორანნი დარბი კაცი იყო და ამიტომ სოლანჯის დედ-მამას არ უნდოდა იმისი დასიძევება. „მკვლარი მკვლარს აკვიდა — სამარეძდის წამიღო“, მაგათი საქმე იქნებოა, იტყოდენ ხოლმე სოლანჯის მშობლები. — ის არ გვირ-



ჩვენია ცოტა შექმლებელ ვისმე მივცეთ. მთხოვნელები
 სომ არ გვაკლია, დვითთ.

დედ მამა უშლიდა სოლანჯს ლორანთან ლაპარაკს.
 მაგრამ ისინი მანც ახერხებდენ ერთმანეთის შესვედრას
 და მუსაიფს თავის მოძავალ ცხოვრებასე.

ეს იყო 1879 წელს. დადგა სასტიკი ზამთარი. მდი-
 ნარეები მთლათ გააუნა. ტყეში ხის ტოტები თოვლის
 სიმძიმეს ვედარ უძლებდენ. გზები შეიკრა. ტყე მკლებმა-
 დანსაკუთრეს. მიძძილისგან შეწუხებული ნადირები
 ტყის ჰირას მდებარე სოფლებშიაც ჩამოდოდენ და მცხო-
 ვრებლებს დიდ ზარალს აძლევენ. ხალხი შეიარაღებული
 იყო იმათ გასაწევებათ. მთავრობა ორმოც-და-ათ ფრანკს
 აძლევდა თითო მკლის მოკვლაში. მკვლელს მკლის თავი
 უნდა წარედგინა.

მაგრამ ვერც ზამთრის სიცვივე, ვერც მკლები ვერ უძ-
 ლიდენ სოლანჯს და ლორანს ერთმანეთის ნახვას.

ამ დროს კლესებს ცოტა საქმე აქვთ. ლორანი ეო-
 ველ საღამოს სანადიროთ დადიოდა ტყეში. ლორანი სო-
 ლანჯის ბაღჩისკენ აივლიდა ხოლმე. ქალი კარში დაჭხვდე-
 ბოდა და გამოეულაპარაკებოდა.

ერთ საღამოს ლორანი სანადიროთ წავიდა. სოლანჯს
 ვერ არ ეძინა. ძაღლის ეეფაზე კარში გამოიხედა.

— საღამო მშვიდობისა, სოლანჯ!



— ამ დროს სად მიდიხარ, ემაწვილო? მკვლევისა არ
კეძინია!

— აბა სწორეთ მეც მკვლევის დასასრულათ მივდივარ... სულ
ახლოდან მოდის მათი ღმუილი. რაც კახდეს, კახდეს წა-
მო უეურე, როგორ გავაგორებ მკელს! ჭა, კეძინია განა!

— შენ ხომ იქ იქნები და რისა მეძინია! ნუ დავიგ-
ვიანებთ კი, აი...

ჩვენმა მკვლავებმა ლაპარაკით კარგა მანძილი გაი-
არეს, მაგრამ უსიფათოთ კი ვერ გადარჩენ: ლორანს ფე-
ხი მოუსსლტა ვინულზე და ისე უხერხულათ წაიქცა, რომ
ფეხი მოიტეხა და მარჯვენა ხელიც იღრმო. შეძინებული
სოლანჯი ეცადა იმის წამოყენებას, მაგრამ ვერ შესძლო.
როგორც იყო გადაათრია გზიდან, მიაწვინა ხის ძირში
და თავისი წამოსასხამი დაახურა.

— ნუ კეძინია, ლორან, ახლავე ჩავიბრუნ სოფელ-
ში და ექიმს შევატყობინებ. ის თავისი ეტლით წაკიეფანს,
— უთხრა სოლანჯმა და მარდათ წამოვიდა.

სოლანჯი კვას კიდევ მოეფარა, რომ მოესმა თოფის
ხმა და ლორანის ყვირილი:

— სოლანჯ! სოლანჯ! გამოიქე, გამოიქე!..

სოლანჯი სიბრბილით დაბრუნდა და ნახა თავისი მე-
გობარე ტკივილისა და შიშისგან აკანკალებული. იმას
ათრთრლებული ხელით თოფი ეჭირა.

— რა დაკეძართა, ლორან? შენ გაისროლე თოფი?



— ჭო, რაღაცა მომიანხლოვდა, მკონია მკელი იყო.

— მოარტყი ტყვია?

— აბა როგორ მოვარტყებდი, გეთაყვა! თოფის აღებასაც ვერ ვახერხებ! მიწასე როგორც იღებ თოფი ისე გავიწროლე, ეგებ შევაძინო მანც მეთქი.

სოლანჯი ცოტა ჩაფიქრდა.

— ახლა ისევ რომ მობრუნდეს მკელი, — თქვა იმან.

— არც საკვირველია, მოდი ისევ დარჩი, სოლანჯ, თორემ ი ვერანა ცოცხალს შემჭამს.

— კარგი, დავრჩები, — უპასუხა ქალმა. — თოფი კი მე მომეცა. — ძალიანა გტყვივა ფენი?

— არა, ისე აღარა მტყვს; მკონია მოტყვნილი არ უნდა იყოს... ჭო, ეგრე დამახვიე ეგ ძალი.

სოლანჯმა აიღო თოფი, გატენა და მოემზადა მკლების დასახვედრათ.

გავიდა ერთი-ორი საათი. მთვარე ამოვიდა და განათა არე-მარე. ღორანი სიცივემ აიტანა: ის კანკალებდა და გმინავდა. სოლანჯსაც ძალიან სციოდა, მაგრამ მანც იდგა ხეზე მიუუღებული. ძილი ერეოდა საცოდავ ქალს.

უეცრათ რაღაც ღმუილმა გაძოაფნიზლა სოლანჯი. იმან სულ ახლო დანახა ორი ცუცხლსავით ელვარე თვალი. ეს იყო მკელი.

ლორანმა სცადა წამოდგომა და თოფის აღება, მაგ-



რამ ძლიერი ტკივილისკან ვერ შეძლო და ისევ მიწაზე დაეცა.

— სოლანჯ, მოიძარჯვე თოფი, — უთხრა იმან. — ნუ აჩქარდები, თვალებშუა დაუმიხნე.

ქალმა თოფი დაუმიხნა და ესროლა, მაგრამ ტყვიანაცდინა. შეშინებული მკელი გაძუნძულდა, იმის ეშუილი შორს მოისმა. იმას ხმა მისცეს სხვა მკლებმა.

არ გაუვლია ბევრ ხანს, რომ ღორანს და სოლანჯს მოუახლოვდა სუთი მკელი. ისინი ძალუებისავით დაცუცქებული გამწკრივდნენ, ერთი უფრო გულადი მკელი ნელ-ნელა უახლოვდებოდა იმათ.

— სოლანჯ, აი იმას დაუმიხნე თოფი, რომელიც ჩვენგან მოდის. თუ ეკ დასჭერ, დანარჩენები დაეხვევიან, გაჭკლეჯენ და ჩვენ, ჯერ-ჯერობით მაინც, თავს დაგვანებებენ.

მკელი უფრო და უფრო უახლოვდებოდათ. კაცი ადვილათ გააჩქევდა იმის სისხლით ამღვრეულ თვალებს, დაღრენილ ზირს და გამოგდებულ ენას.

— მაგრა დაიჭირე თოფი, სოლანჯ, ხელი არ აგიკანკალდეს, კარკა დაუმიხნე, — უთხრა ლო ანმა. — აბა, ესროლე!... დაიგრიალა თოფმა. მკელი გვერდზე გადასტა და დაეცა ძირს. დანარჩენი მკლები წამოცვივდნენ და ტვისკენ გაქანდნენ.

— სოლანჯ, გაიქე ძალე და რაც შეიძლო შორს გადაათრე გზისკენ. ნუ გეშინიან, ისინი გვიან დაბრუნდებიან.

ქალი მკლისკენ წავიდა.

— თავი მოსჭერ, სოლანჯე, მა ვერანას. — დაუძახა ლორანმა. — ხომ იცი ორმოცდა ათ ფრანკათ არის დაფასებული!

— დანა გაქვს?

— ჰო, მოდი.

სოლანჯმა ამოაცალა მეგობარს დიდი დანა და გაიქცა მოკლულ მკლისაკენ. მამაცათ მოჭრა იმ-ნადირს თავი, თუძცა ხელებზე, სახეზე და ტანისამოსზე გადმოეჩქაფუნა ჯერ ისევ ცხელი სისხლი. მერე გადაათრია მკელი და გასისხლიანებული ნადირის თავით ხელში დაბრუნდა მეგობართან.

როგორც ლორანი ყიქრობდა, ისეც მოხდა. ამხანაგის მოკვლით შეშინებული მკლები ჰირველ სახში გაიქცენ, მაგრამ სისხლის სუნზე ძაღვ მობრუნდენ, დაეხვიენ მოკლულ მკელს და დაუწყეს კლეჯა. გაუძძღრებმა ისე შეთქვლიფეს ამხანაგი, რომ მკლები და ბალანიც აღარსად ჩანდა.

ლორანს ძალიან ტანჯავდა ფეხის ტკივილი. დაქანცულ-დატანჯულ სოლანჯს ძილი მოერია. თოფი ორჯელ გაუვარდა სელიდან... მკლებმა ვახშაძი რომ გაათავეს, ახლა იმით მიუახლოვდენ. ქალმა ორჯელ-სამჯელ ესროლა თოფი, მაგრამ გაყინული ხელები უკანკალებდენ და

ვერც ერთი მგელი ვერ დაჭრა. თოფის ხმაზე მკლის სროვა გაიქცეოდა, მაგრამ ისევ ძაღვ ბრუნდებოდა.

უბედურები ახლა კი მიხვდნენ, რომ სიკვდილი უახლოვდებოდათ, სოლანქს თოფი ხელიდან დაუვარდა, მაგრამ ერთხელაც არ უფიქრია იმას გაქცევა და დაჭრილის მიტოვება. გვერდით მოუწვა ლორანს, მოხვია ორივე ხელი, თავი ლოყაზე დაადვა და ასე ელოდნენ სიკვდილს. ხელ-ხელა იუნიებოდნენ, გონება ეკარგებოდათ, ათას გვარი სურათი ელანდებოდათ; ხან ეჩვენებოდათ, მიიღო საფხულის თბილი ღამეა, წვანან ხეს ქვეშ, ტყე შრიანებს... მერე უეცრათ ხეებს ჩამოცვივდათ ფოთლები და მოვიდა ბრწინვალე თოვლი. ტყე იმსებოდა ნადირებით, რომლებიც ცეცხლსავით ანათებდნენ თვალებს და უღრჩუნდნენ ბასრ კბილებს... ისინი უფრო და უფრო მრავლდებოდნენ და უახლოვდებოდნენ საცოდავებს შესაჭმელათ.

მაგრამ არც ლორანი და არც სოლანქი არ ეოფილიყვენ ბედისგან გაწირულნი. იმათ ბედზე გათენებისას შინისკენ მოვდიოდი ჩემი ეტლით, — განაგრძო ექიმმა. გაჭირვებულ ავანტიურათან ვიყავი. ჩემ მოსამსახურეს თოფი მხათ ეჭირა და გზას ათვლიერებდა. მკლები არ შეგვხვედრია: ალბათ ჩემი ცხენების ხარბებმა დააფთხეს.

როცა იმ ხეს მიუახლოვდით, რომლის ქვეშაც ლორანი და სოლანქი იყვენ გაუინულნი, ცხენები შეფთხნენ. მე ეტლიდან გადმოვსტი და მივიხედ-მოვიხედე. ძაღვ და-

ვინასე გაეინუნნი. მე და ჩემმა მსახურმა წამოვაყენეთ სა-
ცოდანნი და ეტლში ჩავაწვინეთ. დავსურეთ რაც სათბი-
ლობლები გვექონდა და გამოვემურეთ შინისკენ. მკლის-
თავიც თან წამოვიდეთ.

როცა სოფელში მოვედით, მზე ამოდოდა. ხალხი
ჯგუფ-ჯგუფათ იდგა ეზოებში. ყველანი შეეწუსებინა სო-
ლანჯის დაკარგვას... ლორანი და სოლანჯი ჩემსა წავიე-
ვანე და გავალსვე. როცა მოსულიერდენ, კვიამბეს, რო-
გორ გაატარეს ის საშინელი დამე. ფეხიც მალე მოურ-
ჩა ლორანს.


— მერე, ექიმო, შეირთეს იმათ ერთმანეთი?

— დიას, ამ შემთხვევას შემდეგ ჩქარა დაქორწილდენ.
დედ-მამას უარი აღარ გამოუცხადებია... მკლის თავში
სოლანჯმა ორმოცდა ათი ფრანკი მიიღო საჩუქრათ და ამ
ფულით გვირგვინის კაბა იყიდა.

ექიმმა გაათავა ლანჯარაკი. სოლანჯმა ემაწვილებს ტანთ
ჩააცვა, ხელში აიყვანა მძინარე ბაღლი და შინისკენ წა-
ვიდა. ჩვენ რომ მოგვიანლოვდა, ექიმს გაუდიმა და თავი
დაუკრა.

ექიმსაც „გამარჯვება“ უთხრა.

აღ. ბარნოვი.





ს ი კ ვ დ ი ლ ი.

ამის წყევლიადში მოზარდულ
კოკობ ვარდს ტკბილათ ეძინა;
ნიაფი აკვანს ურწევდა,
ბუღბუღმა უთხრა „ნანინა“.

—
სხივებით გამოალეიდა
ჩიჭრაჟმა ყოველ დღიურმა,
და თანვე პირი დაბანა
ცვარ მარგალიტმა ციურმა!

—
გული გაიხსნა კუკურმა,
ველარ გაუძლო ვნებასა!...
ცასაც და დედა-მოწასაც,
უკმევდა სუნნელებასა!..

—
ნაცვლათ ელოდა ქვეყნიურს,
მომხიბლავს ლხენა-შვებასა
და სასიცოცხლოთ სრულ-ქმნილი
ჰუიქრობდა უკვდავებასა.

—
დილას მოვიდა ყმაწვილი,
თვითონაც ვარდი-ცბოველი,
მოგლიჯა ტკბილი ღიმილით
და გაუქარწყლა ყოველი.

დაჰყნოსა კოკობს სიამით,
აყვავებულმა ვარდის-ფრათ,
მაგრამ იმავ დროს იკიელა,
შეშინებულმა უეცრათ.

იქ გველის სახეთ სიკვდილი
ბუჩქებში მიმალულიყო;
გარს შემოგრტყა, დაგესლა
ის, ვინც სიცოცხლით სრულიყო!

სალამოს მწუხრის ვარსკვლავმა
რომ გადმოხედა მადლითა,
ველარ დაუჩედა ქვეყანა
აღვსილი სიტკბო მადლითა:

მშობლების თვალ წინ ყმაწვილი
იტანჯებოდა... ჰკედებოდა,
და, რომ მოსწყვიტა, ის ვარდიც
იმასთან ერთათ ჰკნებოდა.

აკაკი.





მოლაპარაკე ხე.

(გადმოკეთებული ფრანგულიდან)

სოფელ მარეფონტში თითქმის ყველას რწამდა, რომ ქაჯები დათარეშობდნენ იმათ არე მარეზე. ამას ხელს უწყობს სოფელთან მიკრული ტყე. იშვიათათ ნახავდა კაცი აქაურ სოფელს, რამ მას არ ეამბო, ქაჯი ბინდისას ტყეში ხეზე როგორ ქანაობს, ან როგორ გაისმის დამემისი უცნაური სიმღერა.

ლიზა და კატო, როდესაც ზაფხულობით სწავლის შესვენების დროს ჩამოვიდოდნენ სოფელში, არ გამოეპარებოდათ ქაჯებსე ლაპარაკი. ამათ ეგონათ, მეტადრე ლიზას, რომ ყოველ შუაღამისას ტყეში ქაჯებს ნადიმობა ღეცეკვა აქვთ გამართული.

ერთხელ ჯერ კარკათ შებინდებული არ იყო, ლიზამ და კატომ დააპირეს თავის ბიძაშვილთან წასვლა, რომელმაც დაპატიჟა ესენი. ამათ ტყეზე უნდა გაეგლოთ. ლიზას ცოტა არ იყოს ეშინოდა, მოაკონდა ქაჯებსე ლაპარაკი. ამაზე კატომ გაჯავრებით უთხრა:

— შენ, ლიზა, რა მოშიშარი ყოფილხარ! განა გჯე-

რა, რომ ქაჯები არიან? ეკ სოფლებმა რომ თქვან, იმათ ენატებათ და ჩვენ ქალაქლებისათვის მაკის დაჯერება სირცხვილია.

ლიზას მართლაც შერცხვა, გაწითლდა, მშიშართ არ უნდოდა ეჩვენებინა თავი და მარდათ გაჭევა კატოს.

ტეეში საშინელი სიჩუმე იყო. ღიზა ცახცახებდა, მაგრამ თავს იკავებდა. ერთ დიდ ხეს რომ გაუარეს, ერთბაშათ მოესმათ ბოხი ხმით:

— ღიზა, კატო!

უმწვილები შედგენ, აქეთ-იქით მიიხედეს, მაგრამ ვერაფრინა ნახეს. მახილი ხელ მეორეთ მოესმათ: ღიზა, კატო! ვერც ახლა ნახეს ვინმე, თითქო თითონ ხე ღანჯარაკობდა. ახლა კატოსაც დააწეებინა შიშით ცახცახი. ორივე ხესთან შედგენ და სმენათ გადაიქცენ:

— მე ვარ ქაჯების დედოფალი, მოხუცებულებს ჭკუას ვასწავლი, ახალგაზდა ქალებს სილამაზეს ვამღევი, ვაუკაცებს სიმამაცეს, ვინც ღირსია, ვასახუქრებ და ვინც მე არა მცემს თაუგანს, სიცოცხლეს ჩავუმწარებ. ღიზას როგორც დამჯერ ბავშს, უველაფერს, რასაცა მთხოვს, ავუსრულებ და კატო კი უნდა დავსაჯო. ამოიჩიე, ქალო, ბუთ გადაგაქციო, ხელიკათ, თუ ბაყაუჭამიათ.

კატო სულ დაიფანტა, შიშმა თავსარი დასცა, აღარ

იცოდან როგორ მოენახნა თავისი ცოდვა. ღიზს კი როგორღაც ეჭვში შევიდა, ხმა უმაწვილისას მიეკვანებოდა, შიგ დაცინვის კილოც გამოიხატებოდა, თითქო მათი ბიძაშვილი ვიქტორის ხმა იყო. სანამ კატო თვალცრემლიანი ბოდბის იხდიდა ქაჯების დედოფლის წინ, ღიზამ მოუხარა ხეს და უცბათ მოისმა ხარხარი:

— ვიქტორ, შენა უოფილხარ! შეძახა ღიზამ.



კატო საჩქაროთ წამოხტა ფეხზე და ისიც გაიქცა ლიხასკენ. ხუჭუჭთმიანი ვიქტორი გამოიურებოდა სის ფუტუროდან. კატო ისე შეშინებული იყო, სვლიკათ არ გადავიქცეო, რომ ადვილათ ვერ მოვიდა კონზე.

ლიხას სიცილ-ხარხარს ბოლო არ ჰქონდა; გულში ფიქრობდა; „იქნება უველა ქაჯები ვიქტორსავით ადამიანები იუვენო“.

ა. წ - სა.



ახალი ქვეყანა.


როგორ მოიარა ქრისტეფორე კოლუმბმა
 ქვეყნის მეორე მხარე

I.



ოწს დასავლეთისაკენ, ევროპის განაპირას, არის ერთი სამეფო, რომელსაც ესპანეთი ჰქვია. ამ ქვეყანას ერთი მხრით ატლანტის ზღვა არტუია. დიდხანს არ იცოდენ, ამ ზღვას ნაპირი ჰქონდა თუ არა; ვერც ვერაჟინ ბედავდა მის გადაცურვას: ასე ეკონათ, ოკეანეს იქით ქვეყნიერობა თავდებაო. ესპანეთში ერთი ძველის ძველი მონასტერი; ერთი მხრით ეს მონასტერი ზღვას გადახერება, მეორე მხრით მას დაჰეურებენ ძაღლი, მუხისა და წაბლის ხეებით შემოსილი, მთები. მორიხლოს ჰიიკლაკნება მდინარე და უსაზღვრო ოკეანეში თავის ტალღებს მიაქანებს. მდინარის პირსე ქალაქი ჰალოსია; იქ სავაჭრო ხომალდები შემოდინ ხოლმე. ჰალოსიდან მონასტრის გვერდით ერთი დიდი კვა მოდის.

ერთსელ, ოთხასი წლის წინეთ, ამ გზაზე მოდიოდა დაქანცული მგზავრი და ზატარა ემაწვილი მოჭეაუდა. მგზავრი ჩამოჯდა მონასტრის კარებთან ქვის სკამზე და მე-



კარე ბერს ემაწვილისათვის ზურის ნატეხი და წყალი თხოვა.

ბერმა შეამჩნია, რომ ის უბრალო კაცი არ უნდა უ-

ფილიყო, შეისვენე გასწია და წინამძღვარს შეატეობია. წინამძღვარმა მკსავრი თავის სენაკში მოიწვია და სდღილათ დაიზატია.

მცირე ხანს შემდეგ მათ შორის მუსაიფი გაიძარტა. როდესაც წინამძღვარმა მკსავრს ვინაობა გამოჰკითხა, მან უპასუხა:

— მე იტალიელი ქრისტიანობა კოლუმბი გახლავართ, ქალაქ გენუიდან, ჩემი ხელობა ზღვაზე მოკსავრობა არის. აქამდის ზორტუღალიაში ვცხოვრობდი, ახლა კი ჩემი ცოლის ნათესაუებს დავექმე, რომ შვილი მათ ჩავაბარო და მე რაიმე საქმე მოვნახო.

წინამძღვარი გულ კეთილი და განათლებული კაცი იყო. კოლუმბი მას ძალიან მოეწონა; ის მალე მიხვდა, რომ კოლუმბი დიდი ჰეუსის ზატრონი უნდა ყოფილიყო; ამასთან იმ დროს გენუელებს ეველგან დიდი სახელი ჰქონდათ მოზოებელი.

— ჯერჯერობით ჩვენ მონასტერში დარჩით, უთხრა მან კოლუმბს: — მე ერთი მეგობარი მუავს, რომელიც დედოფლის მოძღვარია სასახლეში. მას შეუძლია, შესაფერი ალაზი ამოგიჩინოსთ.

კოლუმბი ამ სიტყვებმა ძალიან გაახარა, რადგანაც ამისთანა მღვდლის შემწეობით ის ხელმწიფის ნახვას მოახერხებდა, და ამიტომ თავისი მოსაზრება წინამძღვარს განუხიარა:

— მე განვიზრახე აღმოსავლეთის ქვეყნებში — ინდოეთში და ჩინეთში — ზღვით მივიდე. თქვენ კარგათ მოკეს-სენებათ, რამდენი ძვირფასი საქონელი მოდის იქიდან ჩვენს-კენ, მაგრამ ზღვით ვაზ არავინ იცის და ყოველიფერი ხმელეთით დააქვთ; არაბები მოიტანებენ მცირე აზიაში, იქ ჩვენი ვაჭრები იუდიან და ვეროპაში გადმოაქვთ. აქედან ორი საში კაცი თუ ყოფილა ინდოეთში; ვინც კი ყოფილა, უკვლავ აღტაცებულია იქაური ქვეყნებისა და ბუნების სიშენიერით. მე განვიზრახე იქ წასვლა, მხოლოდ ხმელეთით ვი არა — ზღვით. აქედან ატლანტის ზღვას რომ დავადგე და სწორი გზით სულ დასავლეთისაკენ ვიარო, დედამიწას მეორე მხარესე მოუუვლი და ინდოეთში აღმოსავლეთიდან მივაღ.

კოლუმბის ლაზარაკი წინამძღვარს ზღაპარი ეკონა. მართალია, მას გაეგონა, რომ დედამიწა მრგვალი იყო და მაშასადამე მისი გარშემოვლაც შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ სიტყვით ადამიანი ბევრს რასმე იტყვის, საქმით დამტკიცება კი ძნელია. ახლა კი მის წინ იყო ნამდვილი ხორციელი ადამიანი; ის მართლა აზარებდა იმ ქვეყნებისაკენ გამგზავრებას, რომლებიც სადღაც შორს არიან.

— ეს აზრი, რამდენიმე წელიწადია, ჩემ თავში ტრიალებს, განაგრძო კოლუმბმა: ბევრ მეცნიერს ველაზარაკე ამის შესახებ; მათ მითხრეს, ინდოეთში ადამიანი შეიძლება ორი თვის განმავლობაში მივიდეს ხომალდით,

მხოლოდ სულ ჰირდაზირ დასავლეთისაკენ უნდა იცუროსო; უეჭველია, გზასე რაიმე ახალ კუნძულებსაც უნდა შეხედესო. ერთხელ სახელოვანმა მეცნიერმა ტოსკანელიმ მომწერა „ზორტუღლის მეფე მეკითხება, შეიძლება თუ არა ინდოეთში ზღვით მისვლაო“. ეს რომ შეკითხვე, მუისვე ჰორტუღლის მეფეს მივაპურე, ვთხოვე სომალდები და აღვუთქვი, რა ქვეყნებსაც აღმოვაჩენდი იქითა მხარეს სულ მისთვის დაშეთმო. მეფემ მომისმინა და მითხრა, მოვიფიქრებო; რამდენსამე ხანს შემდეგ გამომიცხადა: „ჩემმა ვეჩირებმა შენი მოსაზრება სისულელეთ ჩათვალესო“ თურმე ნუ იტყვით, მეფეს ფარულათ დაემსადებია სომალდი და ზღვაში გაესტუმრებია. მათაც ესეტიალა ზღვაში რამდენსამე დღეს, ნაზირი რომ ვერსად დაენახათ, შემინებოდნათ და უკან დაბრუნებულ იყვნენ. ამას შემდეგ მე გინება და ლანძღვა დაძიწვეს,— შენი წყალობით კინადამ არ დავიდუპეთ ზღვაში, საიდანაც ველარავინ ვერ დაბრუნდებო. როდესაც ხელმწიფის ამ გვარი მოტეუება გაფიგე მასთან უოკელგვარი საქმე მოვსზე და იქიდანაც წამოვედი, ახლა ჩემი მმა ინგლისის მეფესთან გავგზავნე ამ საქმესე მოსალაზარაკებლათ და ჰასუსს ველი“.

წინამძღვარმა მოისმინა ეოველივე და შემდეგ კოლუმბს ურჩია, ესპანეთის მეფეს მიმართო, მეც დედოფლის მოძღვარს და სხვა დიდებულ ჰირებს შევესვეწებო.

II

დრო მიდიოდა. კოლუმბმა რამდენიმე წარჩინებული ჰირი გაიცნო და შემდეგ ესპანეთის მეფის ნახვის ნებაც მიიღო. მეფეს კოლუმბის შესახებ ყოველიფერი გაკუბული ჰქონდა და ამიტომ თავაზიანათ მიიღო. დედოფალი კიდევ უკეთ მოეპყრო კოლუმბს. მოძღვარმა ის წინდაწინვე დაარწმუნა, კოლუმბის განზრახვა წმინდა და ღვთის სასიამოვნო არისო: თუ ინდოეთის გზა აღმოჩნდა, მაშინ იქაურ კერპთაყვანისმცემლებს მოვაქრისტიანებთო. რადგანაც ამ დროს ესპანელებსა და მაჭმადიანებს შორის ომი იყო გამართული, მეფემ თხოვა კოლუმბს, ომის დაბოლოებაზე მოითმინეო, და მანამდე მცირეოდენი ჯამაგირი დაუნიშნა.

გაირა შვიდმა წელმა. ომი გათავდა. მეფე-დედოფალმა გამარჯვება იღღესასწაულეს. მაშინ კოლუმბმა მეფეს თავის საქმე მოაგონა. საქმე გაჭიანურდა. კოლუმბი იქამდე მიიყვანეს, რომ საფრანკეთში წასვლა დაპირა, მაგრამ რადგანაც ახლა კოლუმბის განზრახვის შესახებ მთელი ქვეყანა ლაპარაკობდა, ესპანელებს არ უნდოდათ, ამისთანა სასარკებლო და სასახელო საქმე ხელიდან გაეშვათ. ბოლოს მეფე-დედოფალი დათანხმდნენ კოლუმბისათვის სომალდები დაემსახებინათ; ყოველგვარ მის ჰირობაზედაც თანახმა გახდნენ: კოლუმბი უნდა ყოფილიყო ეველ იმ

ქვეყნების მმართველი, რომლებსაც აღმოაჩენდა; მთელი შემოსავლის ერთი მეათედი მისი უნდა ეოფილიყო, დანარჩენი საზინის; გარდა ამისა ხარჯის მერვედი წილი კოლუმბს უნდა გაესტუმრებია. შეისვე უბრძანეს ჰალოსის მცხოვრებლებს ორი სომალდი და საჭირო მატროსები დაემსადებიათ. კოლუმბმა ჰალოსს გასწია, ისესხა ფული და მესამე სომალდიც დაიქირავა. უმთავრესი დაბრკოლება სწორეთ აქ მესვდა კოლუმბს: სომალდებსე მოსამსახურეებათ დადგომას არავინ კისრულობდა; ამ მკზავრობისა ვეელას ძალიან ეშინოდა. მაშინ ბევრს ესმოდა, რასაკვირველია, რომ დედაძინა მრგვალი იყო, მაგრამ უბრალე მესღვეურებს ვინ დანარწმუნებდა, რომ მიწის გარშემოვლა შეიძლებოდა!

— ქვეყნის ნაპირამდე მივცურდებით და იქ კი სომალდინა ქვესკნელში გადავცვინდებითო, აძობდენ ისინი — ან არა ზ დედაძინის ქვედა მხარესე მოვექცევით, უირამალა გადავტრიალდებით და სამუდამოთ იქ დავჩიებით — უირამალა სიარულს დავიწეებთო. რაღაც იღბლათ კოლუმბმა დაიყოლია ორი მძა ჰინსონები, რომლებიც ზღვასე მოგზაურობაში დახელოვნებული იყვნ; კოლუმბმა ისინი შეიამხანავა.

როდესაც ქალაქში გაიგეს, ჰინსონები კოლუმბთან ერთათ მიდიანო, მაშინ ვეელას იმედი და მხნეობა მოემატა და გემსე სამსახურს აღარავინ უარობდა. ოთხმოცდა-

ათი კაცი მოგროვდა; კოლუმბს მეტიც არ უნდოდა. ზა-
ლოსის მდინარის ჰიზში სამი სომალდი უკვე დამხადე-
ბული იდგა, საჭმელ-სასმელი ყოველსფერი მხათ იყო;
ერთ სომალდს განაგებდა თითონ კოლუმბი, მეორესა და
მესამეს ჰინსონები.

სამ მარიაპოპისთვის ათას ოთხას ოთხმოცდა თორ-
მეტ წელს, მზის ამოსვლისას, სამმა სომალდმა აშალა
იალქნები და ატლანტის ზღვისაკენ გასწია. ნაპირის
კლდეზე იდგა მონასტრის წინამძღვარი; დიდხანს მიჩერე-
ბოდა ის მიმცურავ სომალდებს და აცილებდა თავის მე-
გობარს იმ ქვეყნებისაკენ, საიდანაც ჯერ არავინ არ მობ-
რუნებულყო.

III

მაშინდელ დროში სომალდები გაცილებით უფრო ზა-
ტარა და უვარგისი იყვნენ, ვიდრე ახლა; მხოლოთ თავში
და ბოლოში იყო ზატარა დახურული ოთახები, შუაგული
კი თავგადხდილი იყო. დიდი დელვის დროს შიგ წყალი
ჩადიოდა სოფლე და, სომალდი რომ არ დამირულიყო,
წყალი უნდა ამოექციათ. გარდა ამისა კოლუმბის სომა-
ლდები ძველი და უხეირო იყვნენ. რამდენსამე დღის ცუ-
რვას შემდეგ ერთში წყალმა ქვეშიდან დენა დაიწყო, მეო-
რეზე კი იალქნებს გამოცვლა დაჭირდა.

აფრიკის დასავლეთ ნაპირის მახლობლათ კანარის



კუნძულები არიან. კოლუმბმა იქ შეუსვია, რომ სომალ-
დები შეეკეთებინა, მდინარის წყალი და ახალი სა-
ნოვაგეც წამოედო; ნ ენკენისთვის სომალდები ისევ
გაემართენ ჰირდაჰირ დასავლეთისაკენ, იქ, სადაც მა-
ნამდე არც ერთი სომალდი არა ყოფილა. მალე ჰმე-
ლეთი დაიძალა. მათ გარშემო ყოველი კუთხით ზღვა
ბიბინებდა, შუა ენკენისთვის შვენიერი თბილი ამინდები
დადგა. დღისით ლურჯ ტალღებზე მზის სხივებს ციმცი-
მი გაჭქონდათ, ღამე კი ვარსკვლავებით მოკრიალებული
ცა წებლში ვერცხლის ფრათ ინატებოდა, ერთბაშა სო-
მალდებს თავზე ჩიტმა გადაუფრინა, მალე გაჩნდნენ ვეებე-
რთელა ზღვის ფრინველები და სომალდებს გარშემო ფრე-
ნა დაუწვეს; მათმა ხმაურობამ ეველა გაამხიარულა; ასე
ეგონათ, ხმელეთი ახლო იქნება სადმეო; ის კი არ
იცოდნენ რომ ეს ფრინველები მუდამ ზღვაზე დაცურავ-
დნენ და დაფრინავდნენ, ხმელეთს კი არ ეკარებოდნენ. მალე
მათ მეორე გასსოცარი სურათი წამოუდგათ თვალ წინ;
მთელი ზღვის ზედა ჰირი წყლის მცურავი მცენარეებით
იყო დაფარული; ასე რომ ზღვა მწვანეთ აბიბინებულ
მინდორსა ჰგავდა. როდესაც სომალდიდან ზღვის სიღრ-
მის გასომა მონდომეს, ბირს ვერც კი დაწვდნენ, იმ სი-
მაღლეზე იდგა წებლი. აქედან აშკარა იყო, რომ ხმელე-
თი ჯერ შორს უნდა ყოფილიყო. მთელი ერთი კვირე
სომალდებმა ამ მცურავ ბალახებში იარეს. ფრინველებ-

საც ბევრსა შედავდენ; ეს ფრინველები სულ ზღვაზე ცხოვრობდენ და ბუდესაც ამ მიცურავ ბალახებში იკეთებდენ.

ცა ღრუბლებით შეიმოსა; რამდენჯერმე წვიმა წამოვიდა, კოლუმბი ანუგეშებდა ეველას, მაღე სქელეთსე გავალთო, მაგრამ სმელეთი არსად არა ჩნდა. ერთბაშთ საღამოზე ოცდა ხუთ ენკენისთვეს ჰინსონმა კოლუმბს თავის სომალდიდან დაუძახა, სმელეთი გამოჩნდაო. ეველასიხარულმა აიტაცა; ზოგმა სიმღერა მორთო, ზოგი ღმერთსა მადლობდა, ზოგი სიხარულით ზღვის ტალღებში ბანაობდა. სომალდებმა გაუსვიეს იქითქენ, სადაც ჰინსონმა სმელეთი დაინახა; ბევრი იცურეს, მაგრამ ვერავითარ სმელეთს ვერ მიაღწიეს: ჰინსონმა ღრუბლები დაინახა და ნაპირი ეკონა.

კოლუმბი ჰირდაპირ დასავლეთისაკენ მიცურავდა. რადგანაც ფრინველები სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიფრინავდენ, ჰინსონმა კოლუმბს უჩნია, ჩვენც იქით გაუსვიეთო, უეჭველია იქით სმელეთი ახლო იქნებაო. კოლუმბს ახსოვდა რომ პორტუგალიის მეზღვეურები ეოველთვის ახალ კუნძულს მიაღებოდენ ხოლმე, როცა იქით გაუსვევდენ, საითაც ფრინველები მიფრინავდენ; ამიტომ ის დაეთანხმა ჰინსონს და სომალდებმა სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაუსვიეს. დადგა ღვინობისთვე, ორმა თვემ მეტმა გაიარა, რაც ისინი ესპანეთიდან გამეგზავრენ. სომალდზე ეველასს სოწარკვეთილებში ჩავარდა და კოლუმბის ბრძანებას




აღარაგინ აღარ ასრულებდა; ბოლოს კოლუმბს ჰირდაზირ გამოუცხადეს, ჩვენ ველარ წამოგვევით ამას იქით და უკან უნდა დავბრუნდეთო. კოლუმბი ამ გარემოებამ ძალიან დაადონა: ის ხან საჩუქარს ჰპირდებოდა მესღვეურებს, ხან ემუქრებოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. იღბლათ მეორე დღეს, თერთმეტ ოქტომბერს, ზღვაზე ხის ტოტები დაინახეს; მალე შეამჩნიეს გასსვეპილი ჯოხი. რომელიც, უეჭველია, ადამიანს უნდა გამოეჭრა. მესღვეურებს ისევე იმედი მოეცათ; სომალდებმა დასავლეთისაკენ გაუხვიეს. თორმეტ დღინობისთვის შუაღამისას ორ საათზე ჰინსონის სომალდზე ერთმა მესღვეურმა დაიძახა: „ხმელეთი დავინახეო“. მალე თოფები დაცალეს გაჩერების ნიშნათ. სომალდები გაჩერდნენ, ჩამოუშვეს იალქნები და გათენებას ელოდნენ. მთვარეს კაშკაში გაჰქონდა; ნაპირი შეენივრათ მოჩანდა: ეჭვი აღარ იყო, რომ ხმელეთი ახლო უნდა ეოფილიყო. სინარულით არც ერთს აღარ დაძინებია სომალდებზე. რა გვარი ფიქრები არ ტრიალობდა ამ ხნის განმავლობაში კოლუმბის თავში! რომ ასრულდა და მართალი გამოდგა მისი მოსასწრება!

IV

ამოჭეო თუ არა მსემ თავი, სომალდებიდან ნავები ჩამოუშვეს; კოლუმბი, ჰინსონები და რამდენიმე მატროსე-

ბი ნაზირისაგან გაეშურენ. მათ თვალწინ საუცხოვო სანა-
ხავი წარმოუდგათ. წინ გარდაშლილიყო შვენიერი კუნძული,
რომელიც მდებარისა და სულ სხვა და სხვა ნაირი ხეებით
იყო დაფარული; ხეები ათასნაირი თვალის წარმტაცნი ხი-



ლით იუვენ დაწინძურებული; ტოტემბუა ლამაზი თუთიუშები
 დაფრინავდენ; მათი სმამაღალი ვვირილი ადამიანის მახილს
 მოგაკონებდათ, დაფარფალობდენ დიდი ფერადი ჰეპელები
 და ბუზის სელა ჩიტები-კოლიბრები; მათ ფრთებს მზის
 შუქზე ოქროს ფრთა გაჭქონდათ ბჭევრიალი. კუნძულზე
 ხალხიც იყო; სეებსა და სეებს შუა რამდენიმე კაცმა გა-
 მოჭყო თავი; ეტეობოდათ, სომალდები და ესპანელები
 მათთვის გასაცარი და წარმოუდგენელი ქმნილებები იუ-
 ვენ. ისინი სულ ეველა ტიტვები იუვენ; კანი სპილენ-
 ძით ვვითელი ჭქონდათ. შავი ქოჩორი, წინ მოკლეთ
 შერეჭილი, უკან კი კმელ ნაწნავებათ ჭქონდათ გადა-
 ფრული. სასოვადოთ კი ლამაზი და მოუვანილი ტა-
 ნის ხალხი იუვენ. კოლუმბი გამოვიდა ნაპირზე, შემოიკ-
 რიბა თავის გარშემო ეველა თანამკსავრები და გამოაცხა-
 და, ჩვენგან აღმოჩენილი ქვეყანა დღეიდან ესპანეთის მე-
 ფის სამფლობელოს შეადგენსო. აქავე დაწერეს ამის შე-
 სხებ ქაღალდი და ეველამ სელი მოაწერა.

ძალე ესპანელების გარშემო კუნძულის მცხოვრებლებმა
 თავი მოიუარეს. სოკ მათგანს ტიტველი ტანი სსვა-და-
 სსვა საღებავებით ჭქონდა დახატულ-აჭრელებული; ცხვი-
 რის ნესტოებში ოქროს რგოლები გაეყარათ. ისინი მოუ-
 რიდებლათ და უშიშრათ მადიოდენ ესპანელებთან, ათვა-
 ლიერებდენ მათ, შინჯავდენ მჭრელ სმალსა და სსვა ია-
 რადებს. კოლუმბმა მათ სსვა-და-სსვა საჩუქრები დაუწიგა,

რომ მათი გული მოეგო. ისინი ძალიან მოხარული იყვნენ. კოლუმბმა მათ ინდოელები უწოდა, რადგანაც ასე ეგონა, ინდოეთში მოგვდიო. მთელი დღე ინდოელები მოდიოდნენ თავის ნავებით სომალდებთან, მოჭქონდათ სხვა-და-სხვა ნივთები, ბაიუშები, ბამბის ძაფები და ესპანელებს ანიშნებდნენ, თქვენ ნივთებში გაგვიცვალოთ. რკინა და სპილენძი მათ არ იცოდნენ, არც შუშა; თქროს სამკაულებს კი აკეთებდნენ, რადგანაც კუნძულზე თქრო ძალიან ბევრი იყო. ინდოელები რაღაც უცნობ ენაზე ღაჭაჭაკობდნენ, ესპანელები მათ ხელით ანიშნებდნენ სოლქე და ისე აგებინებდნენ, რაც უნდოდათ. ინდოელები ანიშნებდნენ ხელებით, რომ ახლო-მახლო კიდევ არის სხვა კუნძულებიო.

მეორე დღეს კოლუმბმა ნავით მთელ კუნძულს შემოუარა; მან ბევრი ინდოელები ნახა; ესპანელების დანახვაზე ისინი ხელებს მადლა აიშვერდნენ და დაინოქებდნენ სოლქე; ალბათ ესპანელები ციდან ჩამოსული ეგონათ.

ორ დღეს შემდეგ ესპანელები გზას გაუდგნენ. კოლუმბმა რამდენიმე ინდოელი გაიტყუილა და წაიყვანა, რომ მათთვის გამოეკითხა უოველივე იმ კუნძულების შესახებ, რომლებსაც გზაზე შესვდებოდა. კოლუმბმა ამას შემდეგ ბევრი კუნძული დაათვალიერა; უოველგან ინდოელებს ასახუქრებდა; ისინიც ძალიან მოხარული იყვნენ. მათ არც ცხენი ჰქაჯდათ, არც ხარბი, არც ძროხა, არც ქათამი, ხვან-თესვისა არა იცოდნენრა, უბრალო ქოხებში ცხო-

ვრებდენ და ნადირობითა და სენილით სასწდროობდენ. ერთგან-ორგან კი ესპანელებმა ნახეს დათესილი სიმინდი და ბამბა, ისწავლეს აქ თამბაქოს მოწევა და კარტოფილის ჭამა. როცა უკან დაბრუნდენ ევროპაში, სიმინდის, თუთუნის, ბამბისა და კარტოფილის თესლი წამოიღეს და მასაქეთ ჩვენშიაც მოშენდა ეველა ეს მცენარე. მანამდეს კი ევროპაში არაფერ არ იცოდა არც ერთი ამ მცენარეთაგანი.

შუა სამთარი იყო; შობა მოახლოვდა; კუნძულებზე კი ძალიანა ცხელოდა. კოლუმბი დაწმუნდა, რომ იმ ქვეყნებში მოვიდა, სადაც სამთრობითაც საფხული იყო სოლმე. ესპანელებს ეს ალაგები ძალიან მოეწონათ და ამიტომ კოლუმბსა თხოვეს, აქ დაგეტოვეო; კოლუმბი დიდი სისხარულით დათანხმდა, მით უმეტეს, რომ ერთი სომალდი გაუფრთხილებლობის გამო სრულიად წახდა და მითი ცურვა აღარ შეიძლებოდა. ორ სომალდზე კი ეველა ვერ დაეტეოდა. ვინც კუნძულზე რჩებოდა, იმათთვის ერთი დიდი სახლი ააშენეს და ეველაფერი, რაც საჭირო იყო, დაუტოვეს; ორმოცი ესპანელი დარჩა. ამ კუნძულს უწოდეს სახელათ ესპანიოლა ე. ი. პატარა ესპანეთი. ახლა კი მას გაიტის უძახიან. კოლუმბმა ინდოელების უფროსი გაიცნო და დაარიგა ესპანელებს არაფერი ავნოთ, თორემ საშინლათ დაგსჯითო.

მეორე დღეს, ორ იანვარს, კოლუმბი გამოემძვიდობა


ინდოელების უფროსს და ესპანელებს, რომლებმაც კუნძულზე დაჩენის სურვილი განაცხადეს... ერთ კუნძულზე კი ორმოცდა ათ კაცამდე მოგროვდა შვილდისრები და კეტებით და კოლუმბს ჩხუბი დაუწვეს. ესპანელები თოფებით იუვენ შეიარაღებული და ინდოელები ძაღვ ცაჭფანტეს და დაამარცხეს. რამდენიმე ქალი და კაცი ტუვით დაიჭირეს და ესპანეთში წამოიყვანეს. კოლუმბმა მოაგროვა სხვა-და-სხვა ფრინველების ფრთები, ცხოველების ტყავები, ხეების ნიმუშები, დაათვალიერა კიდევ რამდენიმე კუნძული და შემდეგ ესპანეთში გამობრუნდა.

ვანო.

(შემდეგ იქნება)



კასტარა მოწაგანი.



რისტეს შობის წინ ურბების ქვე-
 ენას ურჯულო მეფე დაეპატრონა,
 რომელსაც სახელათ ანტიოქი ერ-
 ქვა. ეს მეფე თითონ შთამო-
 ძაველობით ბერძენი იყო, ევე-
 ლაფერი ბერძნული მოსწონდა

და სხვა ხალხების რჯულს, ენასა და ზნე-
 ჩვეულებას არაფრათ აფასებდა. მის სახელმწიფოში კი
 ბევრი სხვა-და-სხვა ნაირი ხალხები იმყოფებოდნენ.

ერთხელ ამ უსამართლო მეფემ ბრძანება გამოაცხა,
 რომ ეველამ, ვინც კი ჩემ საბრძანებელში ცხოვრობენ,
 ბერძნების კერძსა სცენ თაყვანი, ბერძნულათ ილაპარაკონ,
 ბერძნული ტანისამოსი ატარონ და მათ ზნე-ჩვეუ-
 ლებას მისდიონო. აბა მაშინ დაუდგათ ურბებს სამინელი
 დრო. ესენი წინეთ თავისუფალი იყვნენ. თავისი ჭეშმარი-
 ტი ღმერთი რწამდათ, თავის ენაზე ლაპარაკი, წიგნების
 კითხვა და ღვთის მსახურება კანონათ მიაჩნდათ. ამ უსა-
 მართლო მეფის ბრძანების ძალით კი ეველაფერი თავისი
 უნდა მიეტოვებიათ და სხვისი უნდა შეეთვისებიათ, რად-
 გან, ვინც ასე არ მოიქცევიდა, ანტიოქ მეფე სძინლათ
 ტანჯავდა და აწვალებდა. ბევრმა, მართლაც, ვერ აიტა-

ნა ტანჯვა და უღალატა თავის სამშობლოს სიუვარულს, მაგრამ ეველანი ასე არ მოიქცენ.

იმ დროს, იერუსალიმში ცხოვრებდა ერთი შესანიშნავი დიდებული შთამომავლობის ქალი, რომელსაც სოლომინია ერქვა. ამ ზატაროსან ადამიანს ძრეელ უყვარდა თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი, მისი რჯული, ენა და ზნე-ჩვეულება. მას შვიდი ვაჟი ჰქავდა; ეველბ შვილები თავის საკუთარი მუშეთი გამოსარდა და ზატარობიდანვე ჩაუნერგა მათ გულში თავისი რჯულისა და ქვეყნის სიუვარული.

როცა ანტიოქ მეფე იერუსალიმში მობრძანდა, ეს დედა-კაცი თავისი შვილებით მას მიჰგვარეს. თვით მეფე ტახტზე ბრძანდებოდა; იერუსალიმის ტაძარში ბერძნების კერძი დაეღვა და უბრძანებდა ხალხს თავიანი ეცათ მისთვის, ჭეშმარიტი ღმერთის ნაცვლათ. როგორც-კი წარსდგენ სოლომინია და მისი ვაჟები მეფის წინ, კაჯავრებულმა მეფემ მრისხანეთ გადახედა მათ და უბრძანა უფროს ვაჟს, თავიანი ეცა კერძისათვის. მაგრამ მან გაბედვით მოახსენა მეფეს: „ჩვენ ჭეშმარიტი ღმერთი გვრწამს, ის არის ყოვლის შემძლებელი, ქვეყნიერი მეფენიც მისი მოსები არიან, მისი უნდა გვემინოდეს ეველასე უფრო და ამიტომ თქვენი ბრძანების ასრულება არ შემიძლია, კერძს თავიანს ვერ ვცემო“.

ანტიოქი საშინლათ გარისხდა და ბრძანა მისი წამება. საწუალს ჯერ ენა მოჭრეს, თვალები დათხარეს, ცოცხლათ კანი გააძრეს და შერე ცეცხლში დაწვეს. ჯერი მეორე მძასე მიდგა. მაგრამ ისიც მტკიცეთ იდგა თავის რჯულზე, გადაჭრილი უარი უთხრა მეფეს და ამიტომ ისიც უფროს მძასავით აწამეს. ასე სტანჯეს და აწამეს მესამეც, მეოთხეც, მესუთეც და მეექვსეც.

საბრალლო დედა თავის თვალთ უეურებდა საუვარელი შვილების ტანჯვასა და წამებას, მაგრამ მანც არ უღალატა თვის მოვალეობას, გაიქვავა გული და ამხნეებდა შვილებს წამების დროს.

დარჩა ცოცხალი უნცროსი ჰატარა მძა. მეფეს ეგონა რომ იმას მანც შეაცდენდა. მიიძო ახლოს დედა და ჩუბათ უბრძანა: ურჩიე მაგ ჰატარა ვაჟს, მაგან მანც აღასრულოს ჩემი ბრძანება და გავაბედნიერებო. დედამ მართლა გაიხმო ცალკე თავისი საუვარელი ჰატარა ვაჟი და ასეთი დარჩება მისცა: „ნუ გეშინია, შვილო, მაგ მტანჯველისა; არამც და არამც არ აასრულო მისი ბრძანება და შენც ისე მოიქეცი, როგორც შენი ძმები მოიქცენ, თორემ მხამათ შეგერგება ჩემი ძუძუ და საჩიოსაც საუკუნო ტანჯვაში იქნები“. მარა ჰატარას არც-კი ეჭირებოდა დედის დარჩება.

მეფეს კი იმედი ჰქონდა, ასე ეგონა დედამ ურჩია და უსათუოთ აასრულებს ჩემ ბრძანებასო. ამიტომაც აუვა-ვებით უთხრა: „აბა ეცი კერძს თაუვანი და ბედნიერი იქნებიო“. მაგრამ ჰატარამ ჯერ გულ-მოკლულ დედას შესედა თვალეში და მერე გაბედვით უპასუხა მეფეს: არა, მეც ისე უნდა მოვიქცე, როგორც ჩემი ძმები მოიქცენ, ვერ ავასრულებ შენ ბრძანებას, არ მეშინია, მიუხავით, რაც გინდათ. მეფე უფრო განრისხდა და ბრძანა ისიც დაეტანჯათ და დაეწვათ, ასეც უყვეს. შვილების შემდეგ საბრალლო დედაც აწამეს.

ეს საკვირველი დედა და მისი ვაჟები გვარათ მაკაბელები იყვნ. მთიი დვაწლი და წამება დღემდის სამაგალითოთ არის დარჩენილი ქვეყანაზე.

საკვირველებანი ბუნებისა.

№ 12

Q o r a g h u m

მანათობელი ღცენაჲნი (les lumineuses)



მენ იცი რას ჰქვიან ციცინათელა, იცი, რომ ეს არის ერთი უბრალო მწერი (ფრთიანი ჭია) და თავისთავათ გამოსცემს სინათლეს. მაგრამ იცი ისიც, რომ მცენარეც გამოსცემდეს სინათლეს?

წარმოიდგინე, რომ არის. არის ინდოეთში, არის ამერიკაში, არის ავსტრალიაში. ზოგი მათგანი სოკოსა ჰგავს, ზოგი ბალახს, ზოგი ბუჩქს. მცენარეებსაცა ჰგავთ თავის მანათობელი.

ერთი ამგვარი ჰატარა სოკო სრულიად საკმაინისა, რომ გაანათოს მთელი ოთახი; მის სინათლეზე შეუძლია წაიკითხოს კაცმა წიგნი, რაც უნდა წვრილი ასოთი იყოს დაბეჭდილი.

და თუ ამისთანა მცენარეები სადმე ძალიან ხშირია, ჯგუფ-ჯგუფათ არის ამოსული, სწორეთ გაჩირადდებული ეგონება კაცს ის არე-მარე.

1840 წელს, როდესაც ერთბაშათ გაჩაღდა ცეცხლის მაგვარი სინათლით სირიის მთები, ისე შეკრთენ და შეშინდენ იქაური მცხოვრებნი, რომ ეგონათ, — სწორეთ მეორეთ მოსვლა არისო.

მაგრამ ეველს ამ საკვირველ მანათობელ მცენარეთა შორის, უფრო ეველსზე საკვირველია „Qoraghum“, რომლისგანაც დღემდე განცვიფრებულია ლონდონის სამეფო სამეურნეო სასოკადობა.

ეს მცენარე მუდამ ანათებს, სიცოცხლეშიაც და სიცოცხლის შემდეგაც, — ცოცხალიცა და მკვდარც.

მოსჭერ ერთი ამისთანა მცენარე, შეინახე და მის დღეში გამოუღვევლი გექმნება ოთახში სინათლე; და თან იმოდენათ დიდი, რომ მის სინათლესე შეიძლება თავისუფლათ კითხვაცა და კერვაც. ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ ერთი საათით სველ მწვარძი გაახვიო, სხვა არაფერი არა უნდა-რა.

მაგრამ უფრო საკვირველი ის არის, რომ ამ მცენარისა ძირიც ისევე ანათებს, როგორც ღერი. მის ძირსაც რომ ერთი საათით სველი მწვარძი შემოახვიო, ისე გაბნათებს ოთახს, თითქო ლამპრით გაუჩაღებიათო.

წელი ამ უცნაური მანათობელისათვის იგივეა, რაც ლამპარისათვის ნავთი ანუ ზეთი.

წელის წვეთით, როგორც უკვე ვიცით, „მკვდრეთით აღმდეგი“ მცენარე ცოცხლდება და ევაუილსა ჰქმლის.

წელის წვეთით „Qoraghum“ ცოცხლდება და ნათელს უშვებს.

წელის წვეთით ორივენი დგებიან სამარადის, რომ კვითავაზონ: ერთმა თავისი ევაუილი და მეორემ თავისი სინათლე.



ქველ-მოქმედი.

ი გ ა ვ ი



რთი კაცია მივიდა მეხობელთან ზ შეს-
 ჩიულა: — გაძიწურა ღმერთი, ამება გონე-
ბის თვალი და ამ ორი წლის წინეთ
 ქურდობა ჩაუდინე; მას აქეთ ქვეყანაზე
 დავდივარ, მაგრამ აღარაფერი მესმის, ვე-
 ღარაფერს ვხედავ ისე მტანჯავს ზ მქეჯ-
 ნის სინიღისი. გვეუდრები, დამიხსენ ასე-

თი ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან: მასწავლე, რა ვიღონო,
 რა მოვასწერსო, რომ ცოდვა ავიხსნა და ჰირნათლათ
 ცხორება შევიძლოვო?

— ამას მხოლოთ ერთი საშველი აქვს, მიუგო მეხო-
 ბელმა: უნდა საქველ-მოქმედო რამ საქმე გასწიო ზ ღმერ-
 თიც შეგინდობსო.

— რას ჰქვიან ქველ-მოქმედება? იკითხა ქურდმა.

— მაგალითათ, ღარიბ-ღატაკ ხალხს რომ ფულით,
 ჰუით ანუ სხვა რამ საჭირო საგნით დაეხმარო და შემ-
 წილობა მიასოდო, ამისთანა შენ საქციელს ქველ-მოქმედე-
 ბას უწოდებენო.

მეზობელს ამისთანა რჩევებისათვის დიდი მადლობა გადაუხადა და გასწია შინისკენ. მაგრამ ის შენ მტერს, როგორც ამ უბედურმა ეს რჩევა შეასრულა: რადგან სიღარიბის გამო მას სახლში არაფერი მოეპოვებოდა, არც აცია, არც აცხელებ — ბნელ ღამეს ერთი სოფდაგრის დუქანი გატეხა; შემდეგ დადგა ჯვარედინ კზახე და დიდის კმაყოფილებით დაურიგა ყოველ ვაშვლეულ-გამომვლეულს კლახაკს იქიდან გამოტანილი ფული.

აღ. მ — შეილი.


სამეცნიერო გასართობი.

№ 2.

ცლა არისტოტელისა



ასაოროსოლე მრგვლათ ზურის გული ანუ აიღე ერთი მარცვალი მომსხო საფანტი და დადე მაგიდაზე. გადიდე მერე მარჯვენა ხელის შუა თითი სალოკ თითზე და ასე გადაჯვარედინებული თითის წვერები შეასე იმ საფანტს. თან, რასაკვირველია, ჰირი სხვა მხარეს მიიბრუნე, რომ თვალთ არ უეურებდე, და ამ კვარათ ერთი-ორჯულ გააგორ-გამოაგორე ის საფანტი მაგიდაზე.



წარმოიდგინე, ისე კეჩვენება, თითქო ორი საფანტი დაგორავს თითებშიო.


ასე გვატყუებს ჩვენ ხანდახან გრძობა შენებობა.

ბოლა.

ხ ა ლ ხ უ რ ი

(გაგონილი მიაა ახლობა, ს ქალისაგან; ჩაწერილი ღადო იაშვილისაგან).

თებერვალი რომ შეიტყობს,
 თინათ დაუშვებს წვერსაო:
 უყურე ამ ცულ იანვარს,
 მყარლსა და საძაგელსაო;
 რაც რომ ცული ზამთარში
 სულ მაგი მოაღვენსაო;
 კაცი არაფერს აკეთებს
 სმისა და ჭამის მეტსაო;
 წიგნი და ღღესასწაული
 გაუჩენია ღმერთსაო,
 ეგ რა მისი საქმე არის
 ტყუილათ იგდებს თავსაო.
 ის ჩემზე მეტი რითი არს —
 უმეტესი ვარ მეცაო.
 ყოველ ნაყოფს გავაღვიძებ —
 წყალს ჩაეუყენებ ხესაო;
 მუშა კაცს გაეხარდება,
 რომ მოიმატებს ღღეცაო,
 წირვა ლოცვას შევაყვარებ
 დიაკვანსა და მღვდელსაო,
 ღვთის ვედრებას შევაყვარებ
 ახლოგაზდას და ბერსაო.
 მე მარტს ნურვიწ შემადარებს,
 იმ ბრიყვს და ჭკუა თაწელსაო!..



ა ნ ა გ რ ა მ ა

(წარმოდგენილი სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლე ვ. ეჯოშვილისაგან)

პირველი არის ნადირი
 დაიარება მთებშია,
 თაეისი სილამაზითა
 ბევრით ირჩევა სხეებშია.
 მეორე არის სახელი,
 გვიხატავს ეროვნებასა;
 ორივეს ერთათ დაწერა
 თხოულობს ხუთსა ასოსა.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი სოლ. გოშაძისაგან.)

ანასაო ბანასაო, წვერი უგავს დანასაო,
 ჯერ ხომ საუღლავს დაუშნადებს, მერე მოძკის ყანასაო.

(წარმოდგენილი ვ. გვასალასაგან)

რწყილზე პატარა, კამეჩზე დიდი,
 პილპილზე მწვავე, თაფლზე უტკბესი.

(წარმოდგენილი კნ. მაიკო ხიდირბეგოვისაგან)

ვაი შენ ჩემო ნიყუო, მე შენ საქმე გიყო,
 ქამარში ხელი წაკავლო, თავი ცეცხლში გიყო.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი წყვილსაგან)

პირველია ის, რასაც რომ
მოიკიდებს ქველმომქმედი!..
თავი ასო მოაცალეთ;—
მას დასწყევლის შემომქმედი!..
არის ცუდი იარაღი;
კალმახავით ხტის და ცურავს;
თუ რომ თვალი არ ადევნეთ,
საქმესა იქმს დასამღურავს!

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი შ. ცაციშვილისაგან)



, ი




ნ ა შ
დ



, პ ი
, თ



$\frac{1}{12}$ წლისა ი



, ო



№ I გამოცანებისა.

გამოცანა: 1) ხახვი, 2, ლოკოკინა.

აკროსტიხი: თუშ-ფშავ ხევურია.

შარადა: ბუხარი.

რებუსი: მარტო გული ერთხელ მოკლული
 არც აყვადების, არც გაცოცხლდების.

უჯრების გამოცანა:

ღ	ა	რ	ი	ბ	ი	კ
ა	ც	ი	ს	ლ	უ	ქ
მ	ა	გ	ე	მ	რ	
ი	ე	ლ	ი	ა		

შარადა გამოცანა და რებუსი ახსნა თუილისში, წმ. ნინოს ზა-
 ვედენის მოსწავლე ქალმა ელენე ციმაკურიძემ, მარტო რებუსი
 ირაკლი ციციშვილმა და საშა ციციშვილმა.

